



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

№ 16

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის პერიოდი: მაკზი 2021 - სექტემბერი 2022



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის №16 ანგარიში

(თბილისის, ქუთაისის, ბათუმის,
რუსთავისა და ზუგდიდის სასამართლოები)

მონიტორინგის პერიოდი: მარტი 2021 - სექტემბერი 2022

ანგარიში მომზადებულია ნიდერლანდების საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის „Monitoring of the Judiciary“ ფარგლებში. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. მასში გამოხატული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ნიდერლანდების საელჩოს შეხედულებებს.



Kingdom of the Netherlands

ანგარიშის ხელმძღვანელი: ნიკა სიმონიშვილი

ავტორები: თამარ ბოჭორიშვილი
ფატიმა ჩაფიჩაძე

მონიტორები: ჯუმბერ ქათამაძე
ნათია გელაშვილი
მთვარისა შველიძე
ხათია ხარატიშვილი
გურანდა ძარტყელიშვილი
მარიამ ჩხიკვაძე
თემონა გაბადაძე
ნინო ირემბაძე
მარიამ ანდრიასძე

რედაქტორი: ლია სანიკვაძე

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

ყდის დიზაინი: თემონა კერესელიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	5
მეთოდოლოგია	7
მიზნები	9
საჯარო განხილვის უფლება	14
სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომები	16
შესავალი	16
პირველი წარდგენის სხდომების ანალიზი	16
აღკვეთის ღონისძიების სახეები და მათი გამოყენების ძირითადი ტენდენციები	20
პატიმრობა	20
გირაო	21
შესავალი	21
გამოვლენილი შედეგები	22
შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა	26
გამოვლენილი შედეგები	27
დამატებითი ვალდებულება	27
სხდომები, რომლებზეც სასამართლომ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიება	28
დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება ...	30
სასამართლო სხდომების ანალიზი	30
წინასასამართლო სხდომა	33
შესავალი	33
სასამართლო სხდომების ანალიზი	33
აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები	36
სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები	38
გამოვლენილი შედეგები	39

საპროცესო შეთანხმება	41
დაკვირვების შედეგები	42
საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებების განმარტება	46
გამოვლენილი შედეგები	46
საპროცესო შეთანხმების სხდომების განხილვის დრო	47
დაკვირვების შედეგები	47
საპროცესო შეთანხმებისას გამოყენებული სასჯელის კანონიერება და სამართლიანობა	48
საპროცესო შეთანხმების დროს გამოყენებული სასჯელები	49
არსებითი განხილვა	53
სხდომების დაგვიანება და გაჭიანურება	53
განაჩენების სტატისტიკა	54
არსებითი განხილვის შედეგად გამოყენებული სასჯელები	55
ოჯახური დანაშაულები	57
ოჯახურ დანაშაულებზე გამოყენებული ადვოკატის ღონისძიებები	58
ოჯახურ დანაშაულებზე გამოტანილი განაჩენები	60
სასჯელები	60
საპროცესო შეთანხმება	62
თარჯიმნის კვალიფიკაცია	63
დაკვირვების შედეგები	63
ადვოკატის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში	65
ადვოკატთა ეთიკური ქცევა	65
სასამართლო კონტროლის მნიშვნელობა	69
მოსამართლის მიუკერძოებლობა	70
დასკვნა და რეკომენდაციები	72
დასკვნა	72
რეკომენდაციები	73

შესავალი

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის მიზანია სასამართლო სხდომებზე გამოვლენილი ტენდენციების ობიექტური დამკვირვებლის თვალთვლით დანახვა. ორგანიზაციის მონიტორები, წლებია, ესწრებიან სხვადასხვა სასამართლოში მიმდინარე სისხლის სამართლის სხდომებს და ცდილობენ, გამოვლენილი ხარვეზებითა და დადებითი მაგალითებით საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია სასამართლო დარბაზებში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

საია მონიტორინგის არაერთ ანგარიშში საუბრობდა სხდომების საჯაროობის მნიშვნელობაზე, მიუთითებდა, რომ მნიშვნელოვანია, დაინტერესებულ პირებს ჰქონდეთ სხდომებზე დასწრების შესაძლებლობა. პანდემიამ, გარკვეულწილად, შეზღუდა საჯარო სხდომებზე დაინტერესებულ პირთა დასწრება, რამაც კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა, Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული რეგულაციების გავლენით, სხდომებზე საგამონაკლისო წესით მოხვედრილ საიას მონიტორებს. ბოლო პერიოდში სასამართლო სხდომები უმეტესად დარბაზებში მიმდინარეობს, თუმცა ზოგ შემთხვევაში ისინი კვლავ დისტანციური ფორმით ტარდება.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდშიც მოუგვარებელ პრობლემად რჩება ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება. აგრეთვე, არ შესრულებულა დისტანციურ სხდომებზე საჯაროობის პრობლემის მოსაგვარებლად საიას მიერ გაცემული რეკომენდაციები.

სასამართლო ტრადიციულად ყველაზე ხშირად კვლავ აღკვეთის ღონისძიების ორ სახეს - გირაოს და პატიმრობას იყენებდა. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღკვეთის ღონისძიების სახეების სიმცირესა ან/და არაეფექტიანობას. აღსანიშნავია, რომ გირაოსთან ერთად სასამართლო უფრო ხშირად აკისრებდა ბრალდებულს დამატებით ვალდებულებებს, რითაც ცდილობდა მათი მხრიდან მომდინარე საფრთხეების მინიმალიზაციას.

გამოწვევად სახელდება პატიმრობისა და გირაოს დაუსაბუთებლად ან არასათანადო დასაბუთებით გამოყენების მზარდი მაჩვენებელი. ორგანიზაცია, წლებია, აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია, ბრალდების მხარე და სასამართლო მეტად იყოს ორიენტირებული ბრალდებულის პიროვნების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და შეფასებაზე. მოცემულ საანგარიშო პერიოდშიც გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როდესაც ბრალდების მხარეს შესწავლილი არ ჰქონდა ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ სასამართლო, განვლილ პერიოდებთან შედარებით, უფრო მეტად ინტერესდებოდა ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობით და ხშირად ამის გათვალისწინებით განსაზღვრავდა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოსაყენებელი გირაოს თანხის ოდენობას.

მართალია, კანონმდებლობით დადგენილია აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის პერიოდულად გადასინჯვა, თუმცა რეალობა ცხადყოფს, რომ ხშირად ამ მექანიზმს ფორმალური სახე აქვს და სასამართლო სა-

თანადოდ არ იკვლევს განხილვის ეტაპისთვის ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეებს. ამაზე მეტყველებს პატიმრობის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის დაბალი მაჩვენებელი.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მცირედით გაიზარდა წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა წარდგენის მაჩვენებელი, რაც პოზიტიურად აისახება შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზებაზე. კვლავ არ ხდება დაკავების კანონიერების საჯარო სხდომაზე განხილვა, რაც მიუთითებს, რომ მოსამართლეები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი, საკუთარი ინიციატივით მოისმინონ ორივე მხარის არგუმენტაცია.

სუსტია სასამართლო კონტროლი საპროცესო შეთანხმებებთან დაკავშირებით. სასამართლო თითქმის ყველა შემთხვევაში ამტკიცებს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების შესახებ. მოსამართლეები სათანადოდ არ იკვლევენ საქმის გარემოებებს, ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის აღიარების ნამდვილობის საკითხს და შეთანხმებას ისე ამტკიცებენ.

საყურადღებო გამოწვევად რჩება სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას ქართული ენის არმცოდნე პირთა უფლებრივი მდგომარეობა. არაერთ სხდომაზე ეჭვქვეშ დადგა თარჯიმანთა კვალიფიკაციის საკითხი.

ანგარიშში ასევე ყურადღება ეთმობა სასამართლოს რეაგირებას ბრალდებულთა მიმართ სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის მოსმენისას. მნიშვნელოვანია, ამგვარ ფაქტებზე მცირედი ეჭვის შემთხვევაშიც კი სასამართლომ, შემდგომი რეაგირებისთვის, შესაბამის ორგანოს მიმართოს.

აგრეთვე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ადვოკატსა და ბრალდებულს შორის არასათანადო ან/და კონფიდენციალური კომუნიკაცია. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პირველი წარდგენის სხდომაზე ადვოკატები პირველად შეხვდნენ თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფებს. კომუნიკაციის ნაკლებობა გავლენას ახდენს ბრალდებულის პოზიციების სათანადოდ გახმოვანებასა და მისი ინტერესების სრულყოფილად დაცვაზე.

ანგარიშში განხილულია ოჯახურ დანაშაულებზე გამოვლენილი მიდგომები და ტენდენციები. გადაუჭრელ პრობლემად რჩება დანაშაულის მსხვერპლთა დაცვა. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კვლავ განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ არაერთ ქალს. საია მუდმივად მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს კოორდინირებული მუშაობისკენ, რათა დაიცვან ამ ტიპის დანაშაულებზე დაზარალებულთა უფლებები და უზრუნველყონ მათი უსაფრთხოება.

ბოლო წლებში მზარდია გამამართლებელი განაჩენების რიცხვი. თუმცა, საყურადღებოა, თუ რა განაპირობებს ამგვარ ტენდენციას. საქმეთა უმრავლესობა, რომლებზეც გამამართლებელი განაჩენი გამოვიდა, ოჯახურ დანაშაულს შეეხება.

ანგარიშის მომზადების და მასში განხილულ საკითხებზე საჯარო დისკუსიის მიზანია სასამართლოში მიმდინარე პროცესებზე მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში შესაბამისი უწყებების მეტი ჩართულობა.

მეთოდოლოგია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) სასამართლო მონიტორინგს 2011 წლიდან ახორციელებს. ამ დრომდე ორგანიზაციამ სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის თხუთმეტი ანგარიში მოამზადა, ასევე გამოსცა ორი სპეციალური ანგარიში, რომლებიც პანდემიასთან დაკავშირებულ სისხლის სამართალწარმოებას შეეხებოდა.¹ წინამდებარე N16 ანგარიში მოიცავს სისხლის სამართლის პროცესებზე დაკვირვების შედეგებს ხუთ სასამართლოში,² 2021 წლის მარტიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდში.³

საანგარიშო პერიოდში საია სისხლის სამართლის პროცესებს უცვლელი მეთოდოლოგიით აკვირდებოდა. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, მონიტორინგი წარიმართა შერეული ფორმით, როგორც დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ასევე უშუალოდ სასამართლო სხდომის დარბაზში დასწრებით. დაკვირვების პროცესში ორივე შემთხვევაში მონიტორინგები ხელმძღვანელობდნენ სპეციალურად პროექტისთვის მომზადებული კითხვარებით. ანგარიშში ასახული ყველა ინფორმაცია მიღებულია ამგვარ სხდომებზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შედეგად. საიას დამკვირვებლები არ ესაუბრებოდნენ მხარეებს და არ განიხილავდნენ საქმის მასალებს ან შემაჯამებელ გადაწყვეტილებებს. კითხვარები მოიცავდა როგორც „დახურულ“ კითხვებს, რომლებზე პასუხიც შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ასევე „ღია“ კითხვებს, რომლებიც მონიტორინგს საშუალებას აძლევდა, ვრცლად აეხსნათ და აესახათ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამასთანავე, საიას მონიტორინგები, გარკვეულ შემთხვევებში, აწარმოებდნენ ჩანაწერებს სასამართლო განხილვებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგომლობების შესახებ, რაც უფრო მეტ სიცხადესა და კონტექსტს ანიჭებდა მათ მუშაობას. ამ პროცედურის საშუალებით, მონიტორინგმა მოახერხეს ობიექტური, გაზომვადი მონაცემების შეგროვება და, იმავდროულად, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირება.

საბოლოოდ, ანალიტიკოსების მიერ შეფასდა სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან. ანგარიშში არ არის განხილული და დამუშავებული სასამართლოებში მიმდინარე ყველა პროცესი თუ სხდომა, თუმცა წარმოდგენილი ინფორმაცია მნიშვნელოვან და საყურადღებო მონაცემებს შეიცავს როგორც სასამართლო სისტემის, პროკურატურისა და ადვოკატთა ასოციაციის წევრების, ისე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის. აგრეთვე, მონიტორინგის მიღმა საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სხდომის მონაწილეთა მიერ გაკეთებული განცხადებებისა და საქმის მასალების შინაა-

¹ საიას სპეციალური ანგარიში „სასამართლო პანდემიის დროს“, 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/31LA61a>; საიას სპეციალური ანგარიში „პანდემიის გავლენა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე“, 2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sLnM6K>, [ბოლო ნახვა: 25.10.2022].

² თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო და ზუგდიდის რაიონული სასამართლოებში (მხოლოდ დისტანციური ფორმით).

³ დაზუსტებისთვის, მონიტორინგი განხორციელდა 2021 წლის აპრილი-ივნისი და 2021 წლის სექტემბერი-2022 წლის სექტემბრის პერიოდებში.

რსის შესწავლა. კერძოდ, საიას არ გაუნალიზებია ის საკითხები, რომლებიც ეხებოდა კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებულ გარემოებებს და განსაზღვრავდა პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობას. სისხლის სამართლის საქმისწარმოების ხანგრძლივობისა და სხვადასხვა ეტაპის გათვალისწინებით, საიას დამკვირვებლები, როგორც წესი, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ესწრებოდნენ ინდივიდუალურ სასამართლო პროცესებს და არა - საქმის განხილვის ყველა სხდომას.

თუმცა, იყო რამდენიმე გამონაკლისი:

- ე.წ. „გახმაურებული“ საქმეები, სადაც ბრალდებულები იყვნენ ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირები.
- საქმეები, რომლებიც შეირჩა უფლებათა უხეში დარღვევის, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან სხვა განსაკუთრებული ფაქტორის გათვალისწინებით.

2021 წლის აპრილიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდში საია დააკვირდა 2064 სასამართლო სხდომას, აქედან:

- არსებითი განხილვის სხდომა - 851
- საპროცესო შეთანხმების სხდომა - 369
- წინასასამართლო სხდომა - 354
- აღკვეთის ღონისძიების სხდომა - 490

მიზნებაბი

პირველი წარდგენის სხდომები

- საიას მონიტორები დაესწრნენ სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის 490 სხდომას, 559 ბრალდებულის მონაწილეობით. აქედან 531 (95%) პირს შეუფარდა აღკვეთის ღონისძიება, 28 (5%) პირის მიმართ კი სასამართლომ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე.
- მოცემულ საანგარიშო პერიოდში აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახე - პატიმრობა გამოყენებულია 253 (48%) შემთხვევაში, რაც, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 6 პროცენტული ერთეულით შემცირებული მაჩვენებელია.
- ბრალდების მხარე 323 (58%) ბრალდებულის მიმართ ითხოვდა პატიმრობის გამოყენებას. აქედან 73 (22%) შემთხვევაში სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.
- საიას შეფასებით, 82 (32%) პირის მიმართ გამოყენებული პატიმრობა იყო დაუსაბუთებელი ან არასათანადოდ დასაბუთებული.
- 33 (13%) პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისთვის სასამართლოს, სულ რაღაც, 15 წუთამდე დრო დასჭირდა.
- საანგარიშო პერიოდში სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო 271 (51%) ბრალდებულს შეუფარდა. ბრალდების მხარე 226 (40%) პირის მიმართ ითხოვდა გირაოს გამოყენებას. სასამართლომ მოთხოვნა მხოლოდ 22 (10%) შემთხვევაში არ დააკმაყოფილა.
- სასამართლომ 134 (49%) პირის მიმართ, გამოიყენა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.
- 52 (19%) ბრალდებულის მიმართ სასამართლომ გამოიყენა გირაოს მინიმალური ოდენობა.
- აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების 226 შუამდგომლობიდან სასამართლომ 204 (90%) შემთხვევაში მოთხოვნილი თანხის ოდენობა დანაშაულის სიმძიმესა ან/და ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობასთან შეუსაბამოდ მიიჩნია და შეამცირა.
- საიას შეფასებით, პირველი წარდგენის სხდომებზე 114 (42%) სხდომაზე ბრალდებულის მიმართ გამოყენებული გირაო იყო დაუსაბუთებელი ან არასათანადოდ დასაბუთებული.
- სასამართლომ 6 (1%) ბრალდებულის მიმართ გამოიყენა შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ხოლო ერთ პირთან დაკავშირებით - პირადი თავდებობა.
- პირველი წარდგენის სხდომაზე 28 (5%) ბრალდებულს არ შეუფარდა

აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე. აქედან მხოლოდ 10 (2%) პირის მიმართ ბრალდების მხარე არ ითხოვდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას.

სათანადო სასამართლო კონტროლი

- მიმდინარე საანგარიშო პერიოდში პირველი წარდგენის 268 სხდომაზე 353 (63%) ბრალდებული წარდგა სასამართლოს წინაშე დაკავებულის სახით.
- სასამართლოში გამოცხადებულმა 9 ბრალდებულმა ისაუბრა პოლიციელების მხრიდან არასათანადო მოპყრობის თაობაზე.

წინასასამართლო სხდომები

- საიას მონიტორები დაესწრნენ 354 წინასასამართლო სხდომას, სადაც სასამართლოში ბრალდებულის სახით წარდგა 409 პირი.
- 354 წინასასამართლო სხდომიდან ბრალდების მხარემ 342 (97%) სხდომაზე წარადგინა მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ შუამდგომლობა, რომელთაგან სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა **327 (96%)** მათგანი, 5 (2%) შემთხვევაში არ დააკმაყოფილა, ხოლო 8 (2%) შემთხვევაში ნაწილობრივ დააკმაყოფილა.
- დაცვის მხარემ 96 (27%) სხდომაზე ითხოვა მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობა. სასამართლომ 86 (**90%**) შემთხვევაში ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა, 4 (4%) შემთხვევაში - ნაწილობრივ, 6-ში (6%) კი არ დააკმაყოფილა.
- საია დაესწრო 131 წინასასამართლო სხდომას, სადაც 173 (42%) ბრალდებული მიიყვანეს პატიმრობის დაწესებულებიდან. 5 (3%) შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ შეფარდებული პატიმრობა გირაოთი შეიცვალა.

საპროცესო შეთანხმება

- საპროცესო შეთანხმების 369 სხდომიდან, რომლებსაც საია აკვირდებოდა, 289 (78%) შემთხვევაში საპროცესო შეთანხმება პირველი წარდგენის სხდომაზე დამტკიცდა.
- დაკვირვებამ აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად საპროცესო შეთანხმება ფორმდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ - 111 (30%) და ნარკოტიკულ - 101 (27%) დანაშაულებზე. ასევე ხშირია მისი გაფორმების შემთხვევები მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე - 43 (12%).
- წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, მცირედით (4%-ით) გაზრდილია განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმების დადების ხვედრითი წილი.

- შენარჩუნებულია ტენდენცია, რომ სასამართლო საპროცესო შეთანხმების თაობაზე ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ შუამდგომლობას თითქმის ყოველთვის ამტკიცებს. გამოვლინდა მხოლოდ 1 შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ ეჭვი შეიტანა ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარებასთან დაკავშირებით და კონკრეტულ სხდომაზე არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.
- გამოვლინდა საგანგაშო შემთხვევა, როდესაც დაცვის მხარე პროცესზე გადახდის ქვითრით ხელში გამოცხადდა და თქვა, რომ საპროცესო შეთანხმების ოქმით გათვალისწინებული ჯარიმა წინასწარ გადაიხადა.
- საპროცესო შეთანხმების სხდომაზე ბრალდებულს უფლებები სრულყოფილად არ განემარტა შემთხვევათა 35%-ში, რაც, წინა პერიოდთან შედარებით, 8 პროცენტული ერთეულით გაუარესებული მაჩვენებელია.
- დაკვირვებამ აჩვენა, რომ საპროცესო შეთანხმების სხდომა საქმეთა ნახევარზე მეტ შემთხვევაში (51%) 15 წუთამდე ღროში სრულდება. გამოვლინდა შემთხვევები (64 შემთხვევა), როდესაც პროკურორმა პროცესზე შუამდგომლობის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი წაიკითხა და არ ისაუბრა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე.
- საპროცესო შეთანხმების შედეგად, სასამართლო სასჯელი სახედ უმეტესად იყენებს ჯარიმას - 108 (29%), ასევე პირობით მსჯავრს და ჯარიმას ერთად - 85 (23%). ცალკე პირობითი მსჯავრის გამოყენების შემხვევები 73 (20%)-ია, რაც, წინა წლის მონაცემთან შედარებით, 5 პროცენტული ერთეულითაა შემცირებული. სასჯელის სახე - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სასამართლომ 36 (10%) პირის მიმართ გამოიყენა.
- წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 330 ლარით გაიზარდა ჯარიმის საშუალოდ ოდენობა და **3451** ლარი შეადგინა. ბოლო 5 წლის განმავლობაში ჯარიმის საშუალო ოდენობის ზრდის ტენდენცია პირველად გამოიკვეთა.
- დაკვირვება აჩვენებს, რომ გაიზარდა ასევე იმ პირთა რიცხვი, რომლებსაც საპროცესო შეთანხმებით სასჯელად ჯარიმა შეეფარდათ. ეს მონაცემი, წინა წელთან შედარებით, 15 პროცენტული ერთეულითაა მომატებული და 60%-ს შეადგენს.

არსებითი განხილვა

- სხდომების ანალიზი აჩვენებს, რომ დაგვიანდა 419 (49%) საქმის არსებითი განხილვის სხდომის დაწყება. ამის მიზეზი ხშირად იყო სხვა პროცესის გაგრძელება იმავე დარბაზში - 24%, ასევე მოსამართლის - 21% ან მხარეთა დაგვიანება - 11%, ხშირი იყო პენიტენციური სამსახურის დაგვიანებაც - 10%.

- 1 საათზე მეტი ვადით დაგვიანება უმეტესად უკავშირდებოდა დისტანციური ან ნახევრად დისტანციური ფორმით მიმდინარე სხდომებს.
- წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, სამი პროცენტული ერთეულით შემცირდა სხდომათა გადადების შემთხვევები. კერძოდ, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში არსებითი განხილვის იმ სხდომებიდან, რომლებსაც საია აკვირდებოდა, 333 (39%) მათგანი გადაიდო.
- სხდომათა გადადების მთავარი მიზეზებია: მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებაზე - 79 (24%) და პროკურორის მოწმეთა არყოფნა - 71 (21%).
- გამოვლინდა 13 შემთხვევა, როდესაც სხდომა ექსპერტიზის დასკვნის მოლოდინის გამო გადაიდო.
- წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, შეინიშნება გამამართლებელი განაჩენების 2%-იანი ზრდა, რამაც საანგარიშო პერიოდში 19% შეადგინა. ყურადსაღებია, რომ გამამართლებელი განაჩენების უმრავლესობა ოჯახურ დანაშაულს შეეხება.
- მომატებულია სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის შეფარდების მაჩვენებელი. კერძოდ, ე.წ. „საპატიმრო სასჯელი“ პირთა 57%-ის მიმართ იყო გამოყენებული.

ოჯახური დანაშაულები

- კვლავ მწვავე პრობლემაა ფემიციდის, ქალთა მკვლელობის შემთხვევები. საანგარიშო პერიოდში საია აკვირდებოდა ქალთა მკვლელობის 3 საქმეს, რომლებიც ოჯახურ დანაშაულს უკავშირდებოდა. ასევე, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ქორწინების იძულების ფაქტი.
- სასამართლომ ოჯახში ძალადობაში ბრალდებულ 56 (46%) პირს შეუფარდა პატიმრობა, 59-ს (48%) - გირაო, 1 (1%) ბრალდებულს კი - შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ. ამ ბოლო შემთხვევაში ბრალდებული ქალი იყო.
- მოსამართლემ ოჯახში ძალადობაში ბრალდებული 6 (5%) პირი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.
- ოჯახურ დანაშაულებთან დაკავშირებით ბრალდების მხარე ძირითადად (88%) პატიმრობის შუამდგომლობით მიმართავდა სასამართლოს, დანარჩენ შემთხვევებში კი გირაოს გამოყენებას ითხოვდა.
- გამოვლინდა 2 ფაქტი, როდესაც პროკურორის არცერთი სახის აღკვეთის ღონისძიება არ მოუთხოვია. აქედან ერთ შემთხვევაში ბრალდების მხარემ გაითვალისწინა ბრალდებულის სქესი და ასაკი, მეორე ბრალდებული კი ისედაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფებოდა.
- პროკურატურა სიფრთხილით ეკიდება ოჯახში მოძალადეების მიმართ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. თუმცა, საანგარიშო პერიოდში

საიამ გამოავლინა სამი შემთხვევა, როდესაც ოჯახურ დანაშაულში ბრალდებულ პირს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა.

- ოჯახურ დანაშაულებზე სასჯელის სახით სასამართლო ყველაზე ხშირად (46%) ე.წ. პირობით მსჯავრს იყენებს. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 5 პროცენტული ერთეულით მოიმატა თავისუფლების აღკვეთის შეფარდების მაჩვენებელმა და 29% შეადგინა. რაც შეეხება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, სასამართლომ ის ოჯახში ძალადობაში მსჯავრდებულ პირთა 25%-ის მიმართ გამოიყენა.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

- პრობლემაა პირველი წარდგენის სხდომების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება. სასამართლოს ვებგვერდზე, ფაქტობრივად, არ იძებნება ამ ეტაპის სასამართლო სხდომები.
- მონიტორინგმა აჩვენა, რომ სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომები აქვს მედიასაშუალებების მიმართ პირდაპირი ტრანსლირების რეჟიმთან დაკავშირებით.
- გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სამართალწარმოების ენის არმცოდნე პირებს თარჯიმნები ვერ დაუნიშნეს იმ მიზეზით, რომ კონკრეტული ენის (თურქმენული და ბოშური ენები) თარჯიმანი ვერ მოიძიეს. მონიტორინგმა გამოკვეთა თარჯიმანთა არაკვალიფიციურობის პრობლემაც.
- სხდომების ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ პროცესის სხვადასხვა ეტაპზე, საშუალოდ, 7% შემთხვევაში აღვოკატი ბრალდებულთან ეფექტიან კომუნიკაციას ვერ ამყარებდა. კონკრეტულად, ბრალდებულის და აღვოკატის პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვეოდა, ან იგრძნობოდა, რომ ბრალდებულის ზოგიერთ სამართლებრივ საკითხზე ინფორმირებული არ იყო.

საჯარო განხილვის უფლება

სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. საქართველოს კონსტიტუციით,⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით⁵ და საერთაშორისო აქტებით⁶ გარანტირებული ამ პრინციპის რეალიზებისთვის მნიშვნელოვანია, ყველა ბრალდებულის საქმე განიხილებოდეს საჯაროდ, თუ არ არსებობს სხდომის დახურვის კანონით გათვალისწინებული მკაფიო საფუძვლები.⁷ გარდა ამისა, სასამართლო სხდომების შესახებ ინფორმაცია უნდა ქვეყნდებოდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი საშუალებებით. სასამართლოში მისულ პირებს კი უნდა ეძლეოდეთ საჯარო სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა.

COVID 19-ის პანდემიამ სასამართლო არაერთი სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა. მათ შორის, ერთ-ერთი იყო სამართალწარმოებისას საჯაროობის პრინციპის დაცვა. სასამართლო სისტემაში მთელი პანდემიის განმავლობაში შეინიშნებოდა არაერთგვაროვანი მიდგომები, რაც დამოკიდებული იყო ქვეყანაში პანდემიის გავრცელების მდგომარეობაზე. ზოგ შემთხვევაში, როდესაც ინფიცირებულთა რაოდენობა მცირდებოდა, სასამართლო ცდილობდა სხდომების დარბაზში ჩატარებას, ხოლო, როდესაც კორონავირუსის გავრცელების მასშტაბი იმატებდა, უმეტესად დისტანციური სხდომებით შემოიფარგლებოდა.⁸

საქმე ის არის, რომ პანდემიის დაწყებიდან ორი წლის თავზე კვლავ არ არსებობს დისტანციურ სხდომებზე დაინტერესებულ პირთა დასწრების მარეგულირებელი ნორმები. ელექტრონული საშუალებებით მიმდინარე სხდომებზე დაინტერესებულ პირთა ჩართვა ტექნიკური თვალსაზრისითაც სირთულეებთანაა დაკავშირებული. თუმცა, პანდემიის პერიოდში სხდომების ამგვარად წარმართვამ აჩვენა, რომ ელექტრონული ფორმა გარკვეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე და სასამართლო სხდომის ეტაპებზე, შესაძლოა, მომავლის სამართალწარმოებად იქცეს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, დაიწყოს მუშაობა დისტანციური პროცესების საჯაროობის კუთხით.

წლებია, საია საუბრობს პირველი წარდგენის სხდომების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების პრობლემურობაზე. სასამართლოს ვებგვერდზე, ფაქტობრივად, არ იძებნება ამ ეტაპის სასამართლო სხდომები. სასამართლოს ადმინისტრაცია ამას ხსენებული ტიპის სხდომების სიჭარბით და შეზღუდულ ვადებში ჩატარებით ხსნის. თუმცა, ეს პრობლემა შეიძლება მოგვარდეს საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომელიც, იმავდროულად, ტაბლოზე ავტომატურად ასახავდა სხდომების განრიგს. სასამართლოს ვებგ-

⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 62.

⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 10.

⁶ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 10, 11 (1); საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 14 (1); ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6 (1).

⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 182 (3).

⁸ საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N15 ანგარიში. გვ 23.

ვერღზე სხდომების შესახებ ზოგადი ინფორმაციის გამოქვეყნებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, მითითებული იყოს მისი ეტაპებიც.⁹

საანგარიშო პერიოდში, იმ სხდომებიდან, რომლებსაც საია აკვირდებოდა, საჯაროდ გამოცხადდა ინფორმაცია ბრალდებულის პირველი წარდგენის 139 (31%) სხდომის შესახებ, ასევე წინასასამართლო - 283 (91%), არსებითი განხილვის - 618 (92%) და საპროცესო შეთანხმების - 189 (59%) სხდომის თაობაზე.

აგრეთვე გამოვლინდა არაერთგვაროვანი მიდგომა მედიასაშუალებების მიმართ პირდაპირი ტრანსლირების რეჟიმთან დაკავშირებით. ერთ-ერთ სხდომაზე დაცვის მხარემ და მედიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა განაცხადეს, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ვერ უზრუნველყო მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისთვის ჩანაწერის დროულად გადაცემა. გარკვეულ შემთხვევებში საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირი ეთერით არ გადასცემდა სასამართლო სხდომებს, სხვა მედიასაშუალებები კი, რომლებსაც ამის სურვილი ჰქონდათ, ამ შესაძლებლობას მოკლებული იყვნენ.

მართალია, სასამართლო ამ შემთხვევებში ფორმალურად არ არღვევდა კანონს,¹⁰ თუმცა, საიას აზრით, საქმეებზე, რომელთა მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, სასამართლო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული, ადამიანებს მისცეს სხდომისთვის თვალყურის დევნების შესაძლებლობა, თუნდაც, პირდაპირი ეთერის მეშვეობით, თუკი ამით მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს ხელი არ შეეშლება.

სასამართლო სხდომებზე დაინტერესებულ პირთა დასწრების შესაძლებლობა და საჯაროობის უზრუნველყოფა არა მხოლოდ შეესაბამება საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნებს, არამედ ასევე ზრდის სასამართლოს მიმართ ნდობას. საზოგადოების მეთვალყურეობით წარმართული პროცესები კი სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა დაცვის მეტი გარანტიაა.

⁹ მაგ. სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა, წინასასამართლო სხდომა, არსებითი განხილვის სხდომა.

¹⁰ საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, მუხლი 13¹.

სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომები

შესავალი

სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომა (შემდგომში - პირველი წარდგენის სხდომა), ბრალდებულის უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სხდომაა. მართალია, ამ სხდომაზე, სხვა ეტაპებისგან განსხვავებით, ყველაზე დაბალი - დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი გამოიყენება, მაგრამ ეს არ აკნინებს სხდომის მნიშვნელობას. მეტიც, აქ ბრალდებულს ეძლევა შესაძლებლობა, ნეიტრალურ არბიტრს გაუზიაროს საკუთარი პოზიცია, ისაუბროს მის მიმართ განხორციელებული წამების, არასათანადო მოპყრობისა და ბრალდებულის უფლებების სხვა სახის დარღვევების თაობაზე. თავის მხრივ, მოსამართლე არკვევს, ესმის თუ არა ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესის ენა (ქართული ენა), განუმარტავს მას ბრალდების არსსა და მის უფლებებს, მათ შორის, წამებისა და არაჰუმანური მოპყრობისთვის საჩივრის (სარჩელის) შეტანის უფლებას, არკვევს საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას და, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.¹¹

პირველი წარდგენის სხდომაზე მოსამართლე განიხილავს ალკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ მხარეთა შუამდგომლობებს, აფასებს ბრალდებულის მხრიდან მომდინარე საფრთხეებს და მის გასანეიტრალებლად ბრალდებულის მიმართ იყენებს ალკვეთის ღონისძიების შესაბამის სახეს.¹²

პირველი წარდგენის სხდომების ანალიზი


მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები დაესწრნენ სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის 490 სხდომას, სადაც ბრალდებულის სახით სასამართლოში წარდგა 559 პირი. სასამართლომ 531 (95%) მათგანს შეუფარდა ალკვეთის ღონისძიება, 28 (5%) პირის მიმართ კი არ გამოიყენა ალკვეთის ღონისძიების არცერთი სახე.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია ინფორმაცია ალკვეთის ღონისძიებათა სახეების გამოყენებასთან დაკავშირებით (2016 წლის მარტიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით).

¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 197.

¹² ალკვეთის ღონისძიების სახეებია: გირაო, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 199 (1).

დიაგრამა №1



დიაგრამაზე ასახული მონაცემები ცხადყოფს, რომ, წლებია, სასამართლო, ძირითადად, ალკვეთის ღონისძიების ორ სახეს - გირაოსა და პატიმრობას იყენებს,¹³ რაც განპირობებულია ალკვეთის ღონისძიების სახეების სიმცირით და არსებული სახეების არაუფექტიანობით. მაგალითად, პირადი თავდებობის გამოყენებას აბრკოლებს თავდებთა მოძიება და სასამართლოში წარმოდგენა, გაუსვლელობისა და სათანადო ქვევის შესახებ შეთანხმების გამოყენებას კი - ვიწრო საკანონმდებლო რეგულირება.¹⁴

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია გამოყენებული ალკვეთის ღონისძიებები ქალაქების მიხედვით (2021 წლის აპრილიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით).¹⁵


¹³ იხ. საიას ანგარიში - ალკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები, 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fPYq2s>, განახლებულია 26.10.2022.

¹⁴ შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქვევის შესახებ შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 202.

¹⁵ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები თბილისის საქალაქო სასამართლოში დაესწრნენ 262 სხდომას 294 ბრალდებულის მიმართ, საიდანაც 115 (44%) სხდომაზე 128 (44%) პირის მიმართ სასამართლომ ალკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა გირაო, 134 (51%) სხდომაზე 153 (52%) პირის მიმართ - პატიმრობა. 1 (1%) სხდომაზე ერთი პირის მიმართ - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქვევის შესახებ, ხოლო 12 (4%) სხდომაზე 12 (4%) პირის მიმართ არ გამოიყენა ალკვეთის ღონისძიების არცერთი სახე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოში - 83 სხდომა 110 ბრალდებულის მიმართ. აქედან სასამართლომ 52 (63%) სხდომაზე 53 (48%) ბრალდებულს შეუფარდა გირაო, 26 (31%) სხდომაზე 52-ს (47%) - პატიმრობა, 2 (2%) სხდომაზე 2 (2%) პირს - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქვევის შესახებ, ხოლო 3 (4%) სხდომაზე 3 (3%) პირს არ შეუფარდა ალკვეთის ღონისძიების

დიაგრამა №2



არცერთი სახე.


ქუთაისი საქალაქო სასამართლოში - 89 სხდომა 92 პირის მიმართ. აქედან 53 (59%) სხდომაზე 56 (61%) ბრალდებულს შეეფარდა გირაო, 24 (27%) სხდომაზე 24 (26%) ბრალდებულს - პატიმრობა, 2 (2%) სხდომაზე 2 (2%) პირს - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ხოლო 10 (11%) სხდომაზე 10 (11%) პირის მიმართ არ იყო გამოყენებული ალკვეთის ღონისძიების არცერთი სახე.

რუსთავის საქალაქო სასამართლო - 53 სხდომა 59 ბრალდებულის მიმართ. აქედან 31 (58%) სხდომაზე 34 (57%) პირს შეეფარდა გირაო, 18 (34%) სხდომაზე 21 (35%) პირს - პატიმრობა, 1 (1%) სხდომაზე ერთ პირს - თავდებობა, 3 (5%) სხდომაზე 3 (5%) პირის მიმართ არ იყო გამოყენებული ალკვეთის ღონისძიების არცერთი სახე.

ზუგდიდში 3 სხდომიდან (4 პირის მიმართ) 2-ზე 3 ბრალდებულს შეეფარდა პატიმრობა, ხოლო 1 პირს - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების საფუძვლები (2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდი).

დიაგრამა №3



კვლავ პრობლემად რჩება ბრალდების მხარის მიერ ბრალდებულის პიროვნების შესახებ სასამართლოს სხდომის დარბაზში მეტი ინფორმაციის წარმოდგენა, რაც უფრო ცხადს გახდიდა მისი მხრიდან მომდინარე საფრთხეებს. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ აღკვეთის ღონისძიებების დასაბუთებისას ბრალდების მხარე ხშირად საუბრობს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობაზე მისთვის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების საფუძვლით. აგრეთვე მიუთითებს საქმესთან დაკავშირებით მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეზე მაშინ, როცა მტკიცებულებები¹⁶ უკვე მოპოვებულია, სასამართლოში გამოსაკითხ პირთა უმრავლესობა კი პოლიციის თანამშრომელია. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ბრალდების მხარე აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისას გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ბრალდებულს, შესაძლოა, ბრალი დაუმძიმდეს და, ამის გამო, მას პატიმრობა უნდა შეეფარდოს. წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების შეცვლის მაჩვენებლით თუ ვიმსჯელებთ, პირველი წარდგენის სხდომიდან წინასასამართლო სხდომამდე ბრალდება იშვიათად იცვლება.¹⁷

¹⁶ მაგალითად, ამოღებულია ნარკოტიკული საშუალება, რომელზეც დანიშნულია ექსპერტიზა და ინახება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურში. ასეთ დროს ბრალდებულს ფიზიკურად ვერ ექნება ნივთიერ მტკიცებულებასთან წვდომა.

¹⁷ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში წინა სასამართლოზე შეცვლილი ბრალით 7 პირი წარდგა.

ადკვეთის ღონისძიების სახეები და მათი გამოყენების ძირითადი ტენდენციები

პატიმრობა

პატიმრობა, როგორც ადკვეთის ღონისძიების ყველაზე მზლუდავი სახე, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ის ერთადერთი საშუალებაა ბრალდებულის მიმალვის, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისა და მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლის, ასევე, ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად.¹⁸

გამოვლენილი შედეგები

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სასამართლომ 253 (48%) პირს შეუფარდა პატიმრობა, რაც, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 6 პროცენტული ერთეულით შემცირებული მაჩვენებელია. ბრალდების მხარე 323 (58%) ბრალდებულის მიმართ ითხოვდა პატიმრობის გამოყენებას. აქედან 73 (22%) შემთხვევაში შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.¹⁹ 82 (32%) პირის მიმართ გამოყენებული პატიმრობა იყო დაუსაბუთებელი ან არასათანადოდ დასაბუთებული.²⁰

დაკვირვებამ გამოავლინა, რომ სასამართლო ნაკლებ ყურადღებას უთმობდა საჯარო სხდომაზე ადკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის დასაბუთებას. დასაბუთების შემთხვევაში კი, საფუძვლები, რომლებიც სასამართლომ გაიზიარა, ხშირად ზოგადი და შაბლონური იყო. პირველი წარდგენის სხდომაზე არაერთი პროცედურისა და განსახილველი საკითხის სიმრავლის მიუხედავად, 33 (13%) პირის მიმართ ადკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისთვის სასამართლოს, სულ რაღაც, **15** წუთამდე დრო დასჭირდა.²¹ მათ შორის, 3-მა (9%) ბრალდებულმა არ იცოდა ქართული ენა. ეს საკმაოდ მცირე დროა მხარეთა დასაბუთებული პოზიციების მოსასმენად და ბრალდებულისთვის, მისთვის გასაგებ ენაზე, უფლებების განსამარტად.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ადკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის შესახებ დაუსაბუთებელი ან/და არასათანადოდ დასაბუთე-

¹⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 205.


¹⁹ წინა საანგარიშო პერიოდში ბრალდების მხარე 333 (72%) ბრალდებულის მიმართ ითხოვდა ადკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას, რაც სასამართლომ 93 (28%) ბრალდებულის შემთხვევაში არ დააკმაყოფილა.

²⁰ საია პატიმრობას დაუსაბუთებლად ან არასათანადოდ დასაბუთებულად მიიჩნევს იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი საფუძვლები აბსტრაქტულია, არ მიესადაგება კონკრეტულ პიროვნებასა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, აგრეთვე, როცა საჯარო სხდომაზე სასამართლო შაბლონურად ასაბუთებს ადკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას და არ საუბრობს, რატომ ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულის სათანადო ქცევას სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენება.

²¹ წინა საანგარიშო პერიოდში პირველი წარდგენის 393 სხდომიდან 170 (43%) მათგანი ჩატარდა 20 წუთამდე დროის მონაკვეთში, ხოლო 109 (27%) შემთხვევაში სხდომის მიმდინარეობა 15 წუთს არ აღემატებოდა. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N15 ანგარიში. გვ. 50. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3NkLjTG>, განახლებულია: 26.10.2022.

ბული გადაწყვეტილებების მაჩვენებელს (2016 წლის სექტემბრიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდი).

დიაგრამა №4



საია მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარე და სასამართლო მეტად უნდა იყვნენ ორიენტირებულნი, პატიმრობის შეფარდებით არ მოახდინონ პირის იზოლირება საზოგადოებრივი ცხოვრებისგან, როდესაც ეს არ არის ერთადერთი, აუცილებელი და უკიდურესი საშუალება. საიას აზრით, გარკვეულ შემთხვევებში, აღკვეთის ღონისძიებების სიმცირის პირობებშიც, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, ნაკლებად მზღლავი აღკვეთის ღონისძიებისა და, მასთან ერთად, დამატებითი ვალდებულებების გამოყენებით გაანეიტრალოს ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეები.

გირაო

შესავალი

გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება.²² ის გამოიყენება ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველსაყოფად. მისი მინიმალური ოდენობა არ შეიძლება იყოს 1000 ლარზე ნაკლები. თანხის მაქსიმალური ოდენობა დამოკიდებულია ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობაზე. გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახედ შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე,

²² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 200.

სასამართლოს განჩინებით, გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ამავე განჩინებით, გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო უძრავი ქონება, გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, აღსასრულებლად მიიქცევა. გირაოს უზრუნველყოფა უძრავი ქონებით ზოგჯერ საცხოვრებლის სრულად ან ნაწილობრივ დაკარგვის რისკებთანაა დაკავშირებული, თუმცა ხშირად ის შეჭირვებული ბრალდებულებისთვის პატიმრობისგან თავის დაღწევის საშუალებაა.

დაკისრებული მოვალეობების ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაში, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში გირაოს შემტანს თანხა უბრუნდება, ხოლო უძრავ ნივთს ეხსნება ყადაღა. ამასთანავე, თუ ბრალდებული კეთილსინდისიერად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, პროკურორი უფლებამოსილია, გირაოს თანხის შემცირების შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგილისა ან განსჯადობის მიხედვით.

კანონმდებლობა იცნობს შემთხვევებს, როდესაც გირაოს თანხის შეტანა ხდება პატიმრობის უზრუნველყოფით. იმისთვის, რომ გირაო არ გადაიქცეს ე.წ. შეფარულ პატიმრობად, მნიშვნელოვანია, მისი ოდენობა შეესაბამებოდეს ბრალდებულის ქონებრივ შესაძლებლობებს.

გამოვლენილი შედეგები

საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები დაესწრნენ პირველი წარდგენის 251 (51%) სხდომას 271 (51%) ბრალდებულის მიმართ, რომელზეც სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა გირაო. ბრალდების მხარე 226 (40%) პირის მიმართ ითხოვდა აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებას. აქედან 22 (10%) შემთხვევაში სასამართლომ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, სასამართლომ 134 (49%) პირის მიმართ გამოიყენა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, ხოლო 6 (2%) დაკავებულს შეუფარდა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფის გარეშე. აქედან ერთ შემთხვევაში დაკავება უკანონოდ ცნო. 4 შემთხვევაში ბრალდებულები სხდომაზე აღნიშნავდნენ, რომ პატიმრობაში ყოფნის პირობებში ვერ შეძლებდნენ თანხის გადახდას. სასამართლომ, სავარაუდოდ, ბრალდებულების თხოვნა გაითვალისწინა და არ შეუფარდა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სასამართლომ გირაოს მინიმალური ოდენობა **52 (19%)** ბრალდებულს²³ შეუფარდა. ბრალდების მხარე, ისევე როგორც წინა საანგარიშო პერიოდში,²⁴ მხოლოდ 2 პირის მიმართ ითხოვდა გირაოს მინიმალური ოდენობის გამოყენებას. 204 (90%) შემთხვევაში სასამართლომ შუ-


²³ მათ შორის, 5 პირს ბრალად ედებოდა მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა - სსკ-ის 236 (3); სსკ-ის 19-177 (3); სსკ-ის 180 (3), სსკ-ის 362 (2); სსკ-ის 25-180 (3); სსკ-ის 177 (3) მუხლებით, ხოლო 9 პირს - ოჯახში ძალადობა (სსკ-ის 126⁴-ე მუხლი).

²⁴ საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N15 ანგარიში, გვ. 55, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3TXaYGf>, განახლებულია: 27.10.2022.

ამდგომლობა თანხის ოდენობის ნაწილში არასათანადოდ დასაბუთებულად მიიჩნია და შეამცირა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სასამართლოს მიერ პროკურატურის მხრიდან მოთხოვნილი გირაოს ოდენობის შემცირების მაჩვენებელს (2016 წლის მარტიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდში).

დიაგრამა №5



ინილეთ ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი დაუსაბუთებელი გირაოს მაგალითი, როდესაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულს შეურჩია ადეკვატური აღკვეთის ღონისძიება, რომელიც მისი სათანადო ქცევის გარანტი იქნებოდა.


ბრალდების მხარე ითხოვდა პირისთვის 2000-ლარიანი გირაოს შეფარდებას. პროკურორი ამას დასაბუთებდა მხოლოდ მოწმეზე ზემოქმედების საფრთხით. მისი განმარტებით, ვინაიდან დაზარალებული ბრალდებულის ახლობელი იყო, სასურველი ჩვენების ფორმირების მიზნით ის ზეგავლენას მოახდენდა მასზე. ადეკვატი ითხოვდა ბრალდებულის დატოვებას აღკვეთის ღონისძიების გარეშე. მისი განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალად წარდგენილი ჰქონდა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, არასდროს ჰქონია შეხება სამართალდამცავ ორგანოებთან, თანამშრომლობდა გამოძიებასთან, დაზარალებული და ბრალდებული ერთმანეთისგან მოშორებით ცხოვრობდნენ და ზემოქმედების საფრთხე გამორიცხული იყო. მოსამართლემ ბრალდებულს კითხვები დაუსვა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. ბრალდებულმა განმარტა, რომ მისი ყოველთვიური შემოსავალი შეადგენდა 140 ლარს, რომელიც იყო პენსია დიაბეტიანებისთვის. მოსამართლემ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

სასამართლო, როგორც წესი, ამცირებს მოთხოვნილი გირაოს ოდენობას. ამის მიუხედავად, ბრალდების მხარე გირაოს თანხას ასახელებს დასაბუთების გარეშე, ისე, რომ იგი არ შეესაბამება არც ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობას და არც სავარაუდოდ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს. მსგავსი დამოკიდებულება და სასამართლოს მიერ ხშირად გირაოს თანხის რადიკალურად შემცირება გვაფიქრებინებს, რომ ბრალდების მხარე ნაკლებ ყურადღებას უთმობს ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის შესწავლას.

პირველი წარდგენის 114 (42%) ბრალდებულის მიმართ გამოყენებული გირაო იყო დაუსაბუთებელი, თანხის ოდენობის შესაბამისობა ან/და მისი გამოყენების მიზანშეწონილობა არ იყო სათანადოდ დასაბუთებული. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დაუსაბუთებელი ანდა არასათანადოდ დასაბუთებული გირაოს შეფარდების მაჩვენებელი 8 პროცენტული ერთეულითაა გაზრდილი.


ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია დაუსაბუთებლად გამოყენებული გირაოს მაჩვენებელი (2016 წლის სექტემბრიდან 2022 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში).

დიაგრამა №6



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია გირაოსა და პატიმრობის უზრუნველყოფით გირაოს გამოყენების მაჩვენებელი (2021 წლის აპრილი-2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდი).

დიაგრამა №7



საია სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის არაერთ ანგარიშში აღნიშნავდა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადება - „სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობას უფარდებს ბრალდებულს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დაკავება სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით“ - სასამართლოს მიერ განიმარტებოდა არაერთგვაროვნად ან/და ბრალდებულის წინააღმდეგ. დაკავებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდება გირაოს უზრუნველყოფამდე ყველა შემთხვევაში იწვევდა ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნას, რაც ზღუდავდა ბრალდებულის თავისუფლების უფლებას, პატიმრობაში ტოვებდა პირს, რომლის მიმართაც არ არსებობდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები. საგულისხმოა, რომ დაკავებულ პირთა შემთხვევაში საგანგაშო პრობლემა იყო დაუსაბუთებლად ან არასათანადო დასაბუთებით მოთხოვნილი და სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული გირაოს მაჩვენებელი. ბუნდოვანი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, ასეთ შემთხვევებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოსამართლეები ყველა შემთხვევაში გირაოს უზრუნველსაყოფად იყენებდნენ პატიმრობას. პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებდა სასამართლოში დაკავებულის სახით წარმოდგენილ პირთა ყოველწლიური მაჩვენებელი.²⁵ ხშირად, დაკავებულთა შემთხვევაში, არ

²⁵ 2016 წლის მარტიდან 2017 წლის თებერვლის ჩათვლით საანგარიშო პერიოდში სასამართლოში

არსებობს პატიმრობაში მათი დატოვების საფუძველი, თუმცა ბრალდებულთა ქონებრივ შესაძლებლობებთან არათანაზომიერი გირაო მათ დაკავებას ხანგრძლივ, უსაფუძვლო პატიმრობად გადააქცევდა. გადახდის შეუძლებლობის შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაო ქმნიდა შეფარული პატიმრობის რისკებს.

2022 წლის 24 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა დააკმაყოფილა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს №1341 და №1660 კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე. სასამართლომ გაიზიარა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლის პოზიცია და მიიჩნია, რომ გირაოს დაუყოვნებლივ გადახდის უზრუნველსაყოფად პირის პატიმრობაში დატოვების აუცილებლობის თაობაზე მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, არსებული საფრთხეების გათვალისწინებით.²⁶

საია დადებითად აფასებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და იმედს იტოვებს, რომ მოსამართლეები დაკავებულ ბრალდებულთა მიმართ პატიმრობის უზრუნველყოფით გირაოს გამოყენების შემთხვევაში გაითვალისწინებენ მათ ქონებრივ მდგომარეობას და შეფარდებულ გირაოს ე.წ. შეფარულ პატიმრობად არ აქცევენ.

შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა

აღკვეთის ღონისძიების სახით გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება შესაძლებელია ისეთ ბრალდებულთა მიმართ, რომელთა მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულისთვის სასჯელის ზომა არ აღემატება ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას.²⁷

აღკვეთის ზემოხსენებული ღონისძიებისგან განსხვავებით, პირადი თავდებობის გამოყენებას არ აქვს რაიმე სახის შეზღუდვა. მისი შეფარდება, სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია ყველა კატეგორიის დანაშაულზე. ამ დროს სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და მის გამოცხადებას გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში. თუ ბრალდებული ჩაიდენს ქმედებას, რომლის აღსაკვეთადაც გამოყენებული იქნება თავდებობა,

290-იდან 140 (48%) ბრალდებული წარდგა დაკავებულის სტატუსით; მომდევნო საანგარიშო პერიოდში - 402 ბრალდებულიდან 218 (54%); შემდგომ საანგარიშო პერიოდში - 668-იდან 452 (68%); 2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით საანგარიშო პერიოდში - 686 ბრალდებულიდან 518 (76%). 2020 წლის მარტიდან 2022 წლის მარტის ჩათვლით პერიოდში კი - 256 სხდომაზე 299 (64%) ბრალდებული.

²⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ODsFHR>.

²⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 202.

სასამართლოს შეუძლია, თითოეულ თავლებს, მხარის შუამდგომლობით, დააკისროს ჯარიმა. თავლებთა რაოდენობას განსაზღვრავს სასამართლო. პირადი თავლებობის არჩევა დასაშვებია მხოლოდ ბრალდებულისა და თავად თავლები პირის თანხმობის შემთხვევაში.²⁸

გამოვლენილი შედეგები

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ისევე, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, აღკვეთის ღონისძიების ეს ორი სახე ყველაზე ნაკლებად გამოიყენებოდა.

საიას მონიტორები დაესწრნენ 6 (1%) სხდომას, რომლებზეც 6 პირის მიმართ სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ერთი (1%) პირის მიმართ კი - პირადი თავლებობა. ბრალდების მხარე შვიდივე პირისთვის გირაოს შეფარდებას ითხოვდა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მხოლოდ 2-ჯერ ითხოვა დაცვის მხარემ აღკვეთის ღონისძიების სახით პირადი თავლებობის შეფარდება. მისი გამოყენება მეტწილად დამოკიდებულია დაცვის მხარის აქტიურობაზე, მის მიერ სანდო პირების მოძიებასა და სასამართლოში წარდგენაზე.

საია მუდმივად აღნიშნავს, რომ გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების ბმა მაქსიმუმ ერთი წლის ვადის სასჯელის მქონე დანაშაულებთან ხშირად მხარეებს და სასამართლოს არ აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვონ და გამოიყენონ აღკვეთის ღონისძიების აღნიშნული სახე. ორგანიზაციის აზრით, მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე დროულად მოწესრიგდეს ეს საკითხი და გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება დამოკიდებული არ იყოს სასჯელის კონკრეტულ ზომაზე, რაც მას აღკვეთის ღონისძიების უფრო მოქნილ და ეფექტიან სახედ აქცევს.

დამატებითი ვალდებულება

აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, ბრალდებულის მიმართ, შესაძლოა, აგრეთვე გამოყენებული იყოს: ვალდებულება, დანიშნულ დროს ან გამოცხადებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში; გარკვეული საქმიანობისა ან პროფესიის განხორციელების აკრძალვა; სასამართლოში, პოლიციასა ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება; სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; ელექტრონული მონიტორინგი; გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულება გარკვეულ საათებში ან უამისოდ; გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა; სპეციალური ნებართვის გარეშე გარკვეულ პირებთან შეხვედრის აკრძალვა; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი

²⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 203.

სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად.²⁹

აღკვეთის ღონისძიების ისეთ სახესთან ერთად, რომელიც არ გულისხმობს ბრალდებულის პატიმრობას, სასამართლო საჭიროების შემთხვევაში ხშირად აკისრებს პირს დამატებით ვალდებულებებს. ზოგჯერ, მაგალითად, ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენება, შესაძლოა, დაზარალებულის დაცვის ყველაზე კარგი გარანტია იყოს. ამასთანავე, თუ ბრალდების მხარე პატიმრობის გამოყენებას ითხოვს ბრალდებულის მხრიდან მომდინარე საფრთხეებზე მითითებით, დაცვის მხარეს შეუძლია, აღკვეთის უფრო მსუბუქ ღონისძიებასთან ერთად, სასამართლოს შესთავაზოს დამატებითი ვალდებულებების დაკისრებით ბრალდების მხარის ვარაუდების გაბათილება.

მნიშვნელოვანია, სასამართლომ ყველა შემთხვევაში ისე შეარჩიოს დამატებითი ვალდებულება, რომ ბრალდებულისთვის ეს არ იყოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდებულ სახეზე მძიმე, რადგანაც ვალდებულება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში ცალკე არ საჩივრდება.

სხდომები, რომლებზეც სასამართლომ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიება

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების არარსებობის შემთხვევაში ბრალდებისა და სასამართლო ორგანოები უფლებამოსილნი არიან, არ მოითხოვონ და არ გამოიყენონ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიება.

მომდინარე საანგარიშო პერიოდში პირველი წარდგენის სხდომაზე გამოცხადებულ 28 (5%) ბრალდებულს არ შეეფარდა აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე. 16 პირის მიმართ ბრალდების მხარე ითხოვდა გირაოს გამოყენებას, მათ შორის 20 000 და 10 000 ლარის ოდენობითაც, მაგრამ სასამართლომ მოთხოვნილი თანხა დაუსაბუთებლად მიიჩნია და ბრალდებულის მიმართ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიება. საქმეთა უმრავლესობაზე, სადაც ბრალდების მხარე დიდი ოდენობით³⁰ გირაოს გამოყენებას შუამდგომლობდა, შემთხვევიდან გასული იყო 2 წელი მაინც.

10 (2%) შემთხვევაში ბრალდების მხარეს არ მოუთხოვია აღკვეთის ღონისძიება, აქედან 5 პირი სხვა საქმეზე იყო მსჯავრდებული, 2-ს კი სხვა საქმეზე ჰქონდა პატიმრობა შეფარდებული. 1 შემთხვევაში ბრალდებული 77 წლის ასაკის ქალი იყო, ხოლო მეორეში - 21 წელს მიუღწეველი პირი.

გამოვლინდა 1 შემთხვევა, როდესაც ბრალდების მხარემ გაიხმო აღკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმებისთვის, რადგან ბრალდებული პირველი წარდგენის სხდომაზე შვილთან ერთად გამოცხადდა, რომელიც ვერავის დაუტოვა და, ბავშვის ტირილის გამო, სხდომის ჩატარება

²⁹ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 199 (2).

³⁰ 2 შემთხვევაში ითხოვდა 10000 ლარს, ერთ შემთხვევაში - 20000 ლარს. არცერთ შემთხვევაში არ მოუთხოვია გირაო მინიმალური ოდენობით.

ვერ მოხერხდა. ერთ შემთხვევაში სმენის პრობლემების მქონე ბრალდებული დისტანციურად ერთვებოდა და, რადგან არაფერი ესმოდა, მოსამართლემ საჭიროდ მიიჩნია მისი დარბაზში გამოცხადება.

კიდევ ერთ საქმეში, რომელიც ოჯახში ძალადობას შეეხებოდა და პროკურორი პატიმრობას ითხოვდა, სასამართლომ ბრალდებული ალკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

საილუსტრაციოდ იხილეთ:

ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული პირის მიმართ ბრალდების მხარე ითხოვდა პატიმრობის შეფარდებას. პროკურორმა მიუთითა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზე. პროკურორის განმარტებით, ბრალდებული, შურისძიების მოტივით, კვლავ იძალადებდა მეუღლეზე, ვინაიდან მან სამართალდამცავებს მამხილებელი ჩვენება მისცა. ასევე, საქმეზე მოწმედ გამოკითხული პირები ბრალდებულის ოჯახის წევრები იყვნენ და, თავისუფლებაში ყოფნის პირობებში, ის მათზე ზეგავლენას მოახდენდა. ბრალდებული წარდგენილ დანაშაულს არ აღიარებდა, ასევე არ დაეთანხმა პატიმრობის გამოყენებას. მოსამართლემ ბრალდებული დატოვა ალკვეთის ღონისძიების გარეშე და განმარტა, რომ ის არასდროს ყოფილა შემჩნეული რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში, არასდროს ყოფილა ნასამართლევნი და, სავარაუდოდ, ჩადენილი ქმედებიდან გასული იყო 2 წელი.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ბრალდებულთა 5%-ის მიმართ ამჯერადაც არ ყოფილა გამოყენებული ალკვეთის ღონისძიების არცერთი სახე.³¹

³¹ საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N15 ანგარიში, გვ. 65. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3NkLjTG>, განახლებულია: 26.10.2022.

დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება

დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა. პირი დაკავებულად მიიჩნევა მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან.³² დაკავების საფუძვლებია: დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა; მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში; გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ზემოაღნიშნული საფუძვლების არსებობისას, გამოძიების ადგილის მიხედვით, სასამართლოს, პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე.³³ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული და მისი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურებისა თუ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე თავიდან ვერ იქნება აცილებული სხვა ალტერნატიული ღონისძიებით, რომელიც პროპორციულია სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებისა და ბრალდებულის პირადი მონაცემებისა, მისი დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე ნებადართულია.

სასამართლო სხდომების ანალიზი

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება საჯარო სხდომაზე დაკავების კანონიერების განხილვის საკითხი. საია სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის 10 წლის განმავლობაში ყველა ანგარიშში ხაზს უსვამს დაკავების კანონიერების საჯარო სხდომაზე განხილვის მნიშვნელობას. მაშინაც კი, თუ დაკავება განხორციელდა სასამართლოს ნებართვით. მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკავების კანონიერად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების მექანიზმს. ეს კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირველი წარდგენის საჯარო სხდომაზე მოსამართლის მიერ დაკავების კანონიერების განხილვას. მოსამართლეთა განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს საჯარო სხდომაზე არ განიხილავენ, ისინი მაინც აფასებენ, რამდენად კანონიერად და შესაბამისი საფუძვლებით განხორციელდა დაკავება და ამას ასახავენ განჩინებებში. თუმცა, საყურადღებოა, რომ განჩინებებში არ ჩანს, რატომ მიიჩნია სასამართლომ დაკავება კანონიერად, რა გარემოებებს დაეყრდნო, ან წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, რამდენად არსებობდა დაკავების აუცილებლობა.³⁴ ხშირად ბრალდებული სხდომაზე ადვოკატის გარეშეა და, პროცედურების არცოდნის გამო, მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი დაკავების საკითხზე თავადვე ისაუბროს. ყველა პირს აქვს უფლება, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მისი დაკავების შესახებ მსჯელობაში. ამ უფლების რეა-

³² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 170.

³³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 171.


³⁴ საიას სისხლის სამართლის პროცესების ოთხწლიანი მონიტორინგის შედეგები - ტენდენციები და არსებული გამოწვევები, გვ. 35 (2021).

ლიზებისთვის კი სასამართლო ყველა შემთხვევაში საჯაროდ უნდა განიხილავდეს და აფასებდეს დაკავების კანონიერებას და არ ეყრდნობოდეს მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში პირველი წარდგენის 268 სხდომაზე 353 (63%) ბრალდებული წარდგა სასამართლოს წინაშე დაკავებულის სახით. მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ 9 (2%) მათგანი დაკავებული იყო სასამართლოს წინასწარი ნებართვით, 49 (14%) - გადაუდებელი აუცილებლობით, ხოლო დანარჩენი 258 (73%) ბრალდებულის დაკავების საფუძვლების შესახებ სხდომაზე არ უმსჯელიათ. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დაკავების მაჩვენებელი ერთი პროცენტული ერთეულითაა შემცირებული.³⁵

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ პირველი წარდგენის სხდომებზე დაკავებულის სახით გამოცხადებულ პირთა ოდენობის პროცენტული მაჩვენებელი (2016 წლის სექტემბრიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდი).³⁶

დიაგრამა №8



გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც სასამართლომ პირის დაკავება არ მიიჩნია კანონიერად და იგი სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

³⁵ 256 სხდომაზე 299 (64%) ბრალდებული წარდგა სასამართლოს წინაშე დაკავებულის სახით. იხ. საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N15 ანგარიში, გვ. 66. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3NkLjTG>, განახლებულია: 26.10.2022.

³⁶ 2016 წლის მარტიდან 2017 წლის თებერვლის ჩათვლით საანგარიშო პერიოდში 290 ბრალდებულიდან სასამართლოში 140 (48%) წარდგა დაკავებულის სტატუსით; მომდევნო საანგარიშო პერიოდში - 402 ბრალდებულიდან 218 (54%); შემდგომ საანგარიშო პერიოდში - 668-იდან 452 (68%); 2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით საანგარიშო პერიოდში - 686 ბრალდებულიდან 518 (76%). 2020 წლის მარტიდან 2022 წლის მარტის ჩათვლით პერიოდში კი - 256 სხდომაზე 299 (64%) ბრალდებული.

საილუსტრაციოდ იხილეთ შესაბამისი საფუძვლის გარეშე პირის დაკავების მაგალითი:

ქურდობისთვის³⁷ ბრალდებული პირი სასამართლოში წარდგა დაკავებულის სახით. მოსამართლე სხდომაზე დაინტერესდა, რატომ არ დააკავეს ის სასამართლოს წინასწარი ნებართვით. პროკურორმა უპასუხა, რომ ბრალდებული დაზარალებულმა ამოიცნო, რის გამოც, არსებობდა მისი მიმალვის საფრთხე. მოსამართლემ სთხოვა ბრალდებულს, მოეყოლა, როგორ მოხდა მისი პირადი ჩხრეკა და გამოჰყვა თუ არა იგი სამართალდამცავებს საკუთარი ნებით. ბრალდებულის თქმით, მას მხოლოდ უთხრეს, წამობრძანდიო და ისიც გამოჰყვა. მოსამართლემ პროკურორს ჰკითხა: „პატაკის მიღებიდან რა დროის გასვლის შემდეგ დააკავეთ ბრალდებული?“, ამაზე პროკურორმა უპასუხა, რომ პატაკს დრო არ ჰქონდა და ის დილით მიიღო, ხოლო დაკავება მოხდა საღამოს. ამ განმარტებების შემდეგ მოსამართლემ დაკავება უკანონოდ მიიჩნია და ბრალდებული სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა.

ერთ შემთხვევაში სასამართლომ, 80 წელს მიღწეულ დაკავებულ პირს, რომელსაც ბრალად ედებოდა ოჯახის წევრის მიმართ მუქარა, შეუფარდა გირაო 1000 ლარის ოდენობით და სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა. მოსამართლეს დაკავების კანონიერების საკითხი საჯარო სხდომაზე არ განუხილავს და, სავარაუდოდ, გირაოს უზრუნველსაყოფად პატიმრობა არ გამოიყენა ბრალდებულის ასაკის გათვალისწინებით. თუმცა, გაურკვეველი დარჩა, მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ გამოიყენა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, თუ დაკავება ცნო უკანონოდ (მაგრამ სხდომაზე არ უთქვამს) და ამიტომ გაათავისუფლა ბრალდებული.

ის ფაქტი, რომ სასამართლო ხშირად საჯარო სხდომაზე არ განიხილავს დაკავების კანონიერებას და საკუთარი ინიციატივით არ ინტერესდება დაცვის მხარის განმარტებებით, **მიუთითებს** მის ცალმხრივ დამოკიდებულებასა და ადვოკატის პოზიციისადმი ინტერესის ნაკლებობაზე. ეს კი შეჯიბრებითი და თანასწორი სასამართლო პროცესის თვალსაზრისითაც პრობლემურია.

³⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 177, 2, 3. დანაშაული განეკუთვნება მძიმე კატეგორიას. ადვოკატის ღონისძიების სახით ბრალდებულს შეუფარდა გირაო 5 000 ლარის ოდენობით.

წინასასამართლო სხდომა

შესავალი

წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე. თუ პირველი წარდგენის სხდომის შემდეგ ბრალდება შეიცვალა, ის ბრალდებულს განუმარტავს ბრალდების არსს და იმ ეტაპისთვის წარდგენილი ბრალით გათვალისწინებული სასჯელის ზომას. ასევე არკვევს, ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ, აცნობს მას საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობას, აგრეთვე, თუ ბრალად წარდგენილი დანაშაული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია, მოსამართლე ვალდებულია, განუმარტოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებები და მასთან დაკავშირებით ბრალდებულის უფლებები. გარდა ამისა, არკვევს, თანახმაა თუ არა ბრალდებული, რომ მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს. თანხმობის შემთხვევაში ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თარიღს.³⁸

წინასასამართლო სხდომის მოსამართლე, სხვა საკითხებთან ერთად, აგრეთვე განიხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობას. თუ ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია, პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით იმსჯელოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობაზე, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ ამის თაობაზე შუამდგომლობა.

თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ალბათობის მაღალი ხარისხით, იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა, საქმეს გადასცემს არსებითად განსახილველად და ნიშნავს სხდომის თარიღს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას.³⁹

წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების შეფასებას ემყარება სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. ამის გათვალისწინებით, საიას მონიტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სხდომაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვას და მათზე მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

სასამართლო სხდომების ანალიზი

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები დაესწრნენ 354 წინასასამართლო სხდომას, სადაც სასამართლოში ბრალდებულის სახით წარდგა 409 პირი.⁴⁰

³⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 219.

³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 219 (6).

⁴⁰ 2012 წლის აპრილი-ივნისი - 57 სხდომა, 60 ბრალდებული. 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით, გაერთიანებული მონაცემები ქალაქების მიხედვით: თბილისი -

354 წინასასამართლო სხდომიდან ბრალდების მხარემ 342-ზე (97%) წარადგინა მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ შუამდგომლობა. დანარჩენ 12 (3%) შემთხვევაში საიას მონიტორები შუამდგომლობის წარდგენის ეტაპს არ დასწრებიან, რადგან სხდომა გადაიდო ან გაგრძელდა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ, როგორც წესი, ბრალდების მხარემ, ყველა სხდომაზე წარადგინა მტკიცებულებები. 111 (33%) შემთხვევაში დაცვის მხარემ უდავოდ მიიჩნია ბრალდების მტკიცებულებები, 230-ში (67%) მოითხოვა არსებითი განხილვის სხდომაზე მათი გამოკვლევა, ხოლო 23 (7%) შემთხვევაში იშუამდგომლა დაუშვებლად ცნობა. სასამართლომ 327 (96%) შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილა მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე ბრალდების მხარის შუამდგომლობა, 5-ში (2%) არ დააკმაყოფილა, ხოლო 8 (2%) შემთხვევაში - ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი დასაშვებობის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი **3 პროცენტული ერთეულითაა შემცირებული.**⁴¹

დაცვის მხარემ 96 (27%) სხდომაზე ითხოვა მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობა. წინა საანგარიშო პერიოდში დაცვის მიერ მტკიცებულებათა წარმოდგენის მაჩვენებელი შეადგენდა 26%-ს.⁴² ბრალდების მხარემ 19 (20%) შემთხვევაში უდავოდ მიიჩნია დაცვის მხარის შუამდგომლობები, ხოლო 11 (11%) შემთხვევაში მოითხოვა მათი დაუშვებლობა. სასამართლომ 86 (90%) სხდომაზე დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა და დასაშვებად ცნო ისინი, 4 (4%) შემთხვევაში ნაწილობრივ დააკმაყოფილა, 6-ში (6%) კი არ დააკმაყოფილა.

2019-2020 წლების საანგარიშო პერიოდში დაცვის მხარის მიერ წინასასამართლო სხდომაზე წარდგენილი მტკიცებულებების მაჩვენებელი შეადგენდა 34%-ს,⁴³ ხოლო წინა საანგარიშო პერიოდში - 26%-ს, რაც, დიდი ალბათობით, დაკავშირებული იყო Covid-19-ის პანდემიის გამოწვევებთან.⁴⁴ მოცემულ პერიოდში კი ეს მონაცემი ერთი პროცენტული ერთეულითაა გაზრდილი.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე იხილეთ წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ მხარეთა შუამდგომლობებზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მაჩვენებელი (2021 წლის აპრილი-ივნისი, 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდი).

80 სხდომა, 107 პირი; ქუთაისი - 89 სხდომა, 92 პირი; ბათუმი - 116 სხდომა, 136 ბრალდებული; რუსთავი - 65 სხდომა, 70 პირი; ზუგდიდი - 4 სხდომა, 4 პირი.


⁴¹ 2020 წლის მარტიდან 2021 წლის მარტის ჩათვლით საანგარიშო პერიოდში სასამართლომ 399 (99%) შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილა მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე ბრალდების მხარის შუამდგომლობები, ხოლო 5 (1%) შემთხვევაში - ნაწილობრივ. იხ. საის სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N15 ანგარიში, გვ. 70, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3NkLjTG>, განახლებულია: 23.10.2022.

⁴² იქვე.

⁴³ საიას სისხლის სამართლის პროცესების ოთხწლიანი მონიტორინგის შედეგები/ტენდენციები და არსებული გამოწვევები. გვ. 42. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/31RnX35>, განახლებულია: 23.10.2022.

⁴⁴ იხ. საის სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N15 ანგარიში, გვ. 70. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3NkLjTG>, განახლებულია: 23.10.2022.

დიაგრამა №9



საია დადებითად აფასებს მტკიცებულებების წარდგენის ნაწილში დაცვის მხარის აქტიურობას. არსებული კანონმდებლობა ბრალდების მტკიცების ტვირთს ბრალდების მხარეს აკისრებს. ამის მიუხედავად, სანამ კანონმდებლობით გამომძიებელიც და პროკურორიც ბრალდების მხარეს წარმოადგენენ,⁴⁵ არსებობს ეჭვი, რომ გამომძიებელი, რომელიც ბრალდების მხარეა, ნაკლებად ეცდება, აწარმოოს გამოძიება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად.

ამ საანგარიშო პერიოდში ადვოკატმა 9 სხდომაზე დააყენა დევნის შეწყვეტის შუამდგომლობა, თუმცა არცერთი არ დაკმაყოფილდა. გასულ საანგარიშო პერიოდშიც წინასასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ არცერთ სისხლის სამართლის საქმეზე სს დევნა არ შეწყვეტილა.

⁴⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 8 (6).

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, თუკი პირის მიმართ პატიმრობაა გამოყენებული, პირველივე წინასასამართლო სხდომაზე სავალდებულო წესით განიხილება პატიმრობის მიზანშეწონილობის საკითხი.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო 131 წინასასამართლო სხდომას, სადაც 173 ბრალდებული მიიყვანეს პატიმრობის დაწესებულებიდან. 5 შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ შეფარდებული პატიმრობა გირაოთი შეიცვალა. ორ შემთხვევაში ბრალდების მხარე გირაოს პატიმრობით შეცვლას ითხოვდა. აქედან ერთი შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ხოლო მეორე, ვინაიდან ბრალდების მხარეს არ ჰქონდა სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ ბრალდებული განზრახ არიდებდა თავს შეფარდებული გირაოს გადახდას, პროკურორის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. პროკურორს არცერთ შემთხვევაში არ მიუმართავს სასამართლოსთვის გამოყენებული გირაოს ოდენობის შემცირების შუამდგომლობით.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის ძალაში დატოვების მიზანშეწონილობის განხილვა კვლავ ფორმალურ ხასიათს ატარებს. რჩება განცდა, რომ მოსამართლეები, ძირითადად, შაბლონურად საუბრობენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ მიზნებსა და საფუძვლებზე.

საილუსტრაციოდ იხილეთ პატიმრობის უზრუნველყოფით შეფარდებული გირაოს უცვლელად დატოვების მაგალითი.

პირს ბრალად ედებოდა ქურდობა. აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა გირაო 5000 ლარის ოდენობით, პატიმრობის უზრუნველყოფით. ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა გირაოს თანხის გადახდამდე ბრალდებულის საპატიმრო დაწესებულებიდან გათავისუფლების შესახებ. ამას ბრალდების მხარე არ დაეთანხმა. პროკურორის მოსაზრებით, არსებობდა ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, რადგან ის წარსულში იმავე დანაშაულისთვის იყო ნასამართლევ, ბრალად წარდგენილი მუხლი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 6-იდან 10 წლამდე, რაც ქმნიდა ბრალდებულის მიმალვის საფრთხეს, აგრეთვე ვარაუდობდა, რომ, შეიძლებოდა, მას გავლენა მოეხდინა მოწმეებზე. სასამართლომ ბრალდების მხარის ვარაუდები გაიზიარა.

მოცემული მაგალითით ნათლად აჩვენებს, როგორ ასაბუთებს ბრალდების მხარე პატიმრობის აუცილებლობას, როცა პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს გირაო და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ის საპატიმრო დაწესებულებაშია, გირაოს თანხის გადახდის შეუძლებლობაა. სასამართლო კი ბრალდების მხარის არგუმენტებს უაპელაციოდ იზიარებს.

გირაოს უზრუნველსაყოფად გამოყენებული პატიმრობა ხშირად იქცევა ე.წ. „შე-

ფარულ პატიმრობად“, რა დროსაც ადამიანების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი შეფარდებული გირაოს თანხის არქონა ხდება.

საიას შეფასებით, მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ სასამართლო უკიდებოდეს მეტი პასუხისმგებლობით ბრალდებულის თავისუფლების საკითხს, არამედ, როდესაც პირველი წარდგენის სხდომაზე გამოყენებული პატიმრობის მიზნები და საფუძვლები აღარ არსებობს, ბრალდების მხარე თავად იყოს პატიმრობის შეცვლისა და პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს შემცირების ინიციატორი, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებული საპატიმრო დაწესებულებაში მხოლოდ გირაოს თანხის არქონის გამო რჩება.

სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები

2019 წლის 1-ლი ნოემბრიდან სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ დანაშაულებს⁴⁶ იძიებდა სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო დეპარტამენტი. 2022 წლის 1-ლი მარტიდან გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და თანამდებობა.⁴⁷ საქართველოს 2021 წლის 30 დეკემბრის №1312 კანონის საფუძველზე კი, შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო - სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომლის მიზანია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულთა მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება.⁴⁸

ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილებით აღჭურვის კვალდაკვალ, 2019 წლიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამოქმედდა 191¹-ე მუხლი, რომელიც მიზნად ისახავდა წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის შესაძლო ფაქტებთან მიმართებით სასამართლოს უფრო ეფექტიან რეაგირებას.⁴⁹

2022 წლის 6 თვეში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის/მოხელის მიერ ჩადენილ იმ სავარაუდო დანაშაულებზე, რომლებსაც ითვალისწინებს „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, შევიდა 1267 შეტყობინება. 47 (3%) შემთხვევაში შეტყობინების ავტორი იყო სასამართლო.⁵⁰

ადსანიშნავია, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შეიმუშავა სახელმძღვანელო, რომლის საფუძველზეც, ამ სამსახურის წარმოებაში არსებულ არასათანადო მოპყრობის საქმეებზე, პროცესის მონაწილეთა პერსონალური მონა-

⁴⁶ წამება - სსკ-ის 144¹-ე მუხლი; წამების მუქარა - 144² მუხლი; დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა - 144³-ე მუხლი; სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები; სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით - 333-ე მუხლების მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები; განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიცემის იძულება - 335-ე მუხლი; პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით; აგრეთვე, მსჯავრდებულის იძულება, მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით - 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი; სხვა დანაშაული, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორსა ან პენიტენციურ დაწესებულებაში, ან/და ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ან/და აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ.

⁴⁷ საქართველოს კანონი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ, მუხლი 27¹.

⁴⁸ საქართველოს კანონი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ, მუხლი 2.(19).

⁴⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 191¹.

⁵⁰ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 6 თვის საქმიანობის ანგარიში, გვ. 48. 2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3UhX6WQ>, განახლებულია: 02.11.2022.

ცემების დაცვის პრინციპით, მსხვერპლს ეძლევა საქმის მასალებთან წვდომის შესაძლებლობა, მათ შორის, უფლება, პირადად გაეცნოს ექსპერტიზის დასკვნებს, ვიდეო და აუდიო მასალას, სხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებს.⁵¹

საია დადებითად აფასებს ამ ინიციატივას და მიიჩნევს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ მსხვერპლთა და დაზარალებულთა ინფორმირება დადებითად აისახება ამ პირთა უფლებების რეალიზებაზე, აგრეთვე ხელს შეუწყობს უწყებისადმი მსხვერპლთა ნდობის გაზრდას და მათი ჩართულობით გამოძიების პროცესის ეფექტიანობას.

გამოვლენილი შედეგები

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სასამართლოში გამოცხადებულმა 9 ბრალდებულმა ისაუბრა პოლიციელების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. აქედან მხოლოდ 3 შემთხვევაში განაცხადა მოსამართლემ, რომ ამის შესახებ შესაბამის ორგანოს შეატყობინებდა. ერთ შემთხვევაში ბრალდებულმა აღნიშნა, რომ თავად ჰქონდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის მიმართული.

ქვემოთ იხილეთ ერთ-ერთ საქმეში არასათანადო მოპყრობის ფაქტზე 3 ბრალდებულის მიერ გაკეთებული განცხადებები.

საილუსტრაციო მაგალითი

ერთმა ბრალდებულმა განაცხადა, რომ პოლიციელებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, მისსავე სახლში ისინი თავს დაესხნენ, ხელი გაართყეს მის მეუღლეს, რომელსაც ეტყობა კიდეც დაზიანება, შემდგომ იგი ჩაკეტეს ოთახში, სადაც 2 პოლიციელი სცემდა, სანამ სახლის ჩხრეკა მიმდინარეობდა.

მეორე ბრალდებულმა განაცხადა, რომ იგი ჯერ სახლში სცემეს, შემდგომ კი მასზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა მიმდინარეობდა განყოფილებაში ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, რათა პოლიციელებისთვის სასურველი ჩვენება მიეცა.

მესამე ბრალდებულმა განაცხადა, რომ ნაცემია და ნეკნები აქვს ჩალეწილი, დაზიანებები პენიტენციურ დაწესებულებაშიც დაადასტურეს შემოწმების შემდეგ.

მოსამართლის მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე რეაგირების საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი.

⁵¹ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთათვის სისხლის სამართლის საქმის გაცნობისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ 2022 წლის 27 ივლისის N01/165 ბრძანდება, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ვებგვერდი, 27.07.2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3zceAvK>, განახლებულია: 26.10.2022.

ბრალდებულმა განაცხადა, რომ დაკავების მომენტში პოლიციელების მხრიდან მოხდა უფლებამოსილების გადამეტება. მისი თქმით, სამართალდამცველებმა, რომლებსაც არ წარმოუდგენიათ არანაირი დოკუმენტი, მას მიაყენეს როგორც ფიზიკური, ასევე სიტყვიერი შეურაცხყოფა. ბრალდებულის თქმით, იგი წააქციეს მაშინ, როდესაც წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებდა, ხელები გადაუგრიხეს და ასეთ ვითარებაში დააღეს ხელობორკილები. მოსამართლემ ჰკითხა, ზუსტად განემარტა, რაში მდგომარეობდა არასათანადო მოპყრობა. შემდეგ უთხრა, რომ მას ჰქონდა უფლება, პოლიციელების ქმედებები გაესაჩივრებინა. ამავე დროს განუმარტა, რომ მასაც შეეძლო, უშუალოდ მიემართა პროკურორისთვის, რომელიც შესაბამის ქმედებებს განახორციელებდა. ამ განმარტებების შემდგომ ბრალდებულმა მიუთითა, რომ ჩივილი არ სურდა, უბრალოდ, დაკავების დროს მომხდარი ფაქტი განმარტა.

კიდევ ერთ შემთხვევაში, ბრალდებულთა განცხადებით, მათ დაკავებისას სცემეს და ნეკნები აქვთ ჩამტვრეული. ადვოკატების თქმით, ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და ახლა გაიგეს. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ფაქტის შესწავლის მიზნით ინფორმაციას შესაბამის ორგანოს მიაწვდიდა.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის აუცილებლობაზე, განსაკუთრებით არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, სასამართლომ ბრალდებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის თაობაზე მცირედი ეჭვის დროსაც კი რეაგირებისთვის შესაბამის საგამოძიებო ორგანოს მიმართოს.

საპროცესო შეთანხმება

სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შესუბუქებას ან ნაწილობრივ მოხსნაზე.⁵²

საპროცესო შეთანხმება სწრაფ მართლმსაჯულებას გულისხმობს, როდესაც მხარეები თანხმდებიან კონკრეტულ პირობებზე და დროულად ასრულებენ საქმის განხილვას. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოაქვს მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე, რაც ზოგავს დროს და რესურსს, რომელიც უფრო მნიშვნელოვანი საქმეების განხილვისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული.

ამასთანავე, საპროცესო შეთანხმების დადება არ ათავისუფლებს ბრალდებულს სამოქალაქო და სხვა სახის პასუხისმგებლობისგან.

გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი ითვალისწინებს საჯარო ინტერესს, რომელსაც იგი სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, დანაშაულის ხასიათის, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების, პიროვნული მახასიათებლების, ნასამართლობის, გამოძიებასთან თანამშრომლობისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს.⁵³

საპროცესო შეთანხმება მიიღწევა მხარეებს შორის, თუმცა, საბოლოოდ, მას სასამართლო ამტკიცებს. მოსამართლეს არ აქვს ვალდებულება, დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება. მან უნდა განახორციელოს სასამართლო კონტროლი, გამოარკვიოს სსსკ-ის 212-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები (საპროცესო შეთანხმება დადებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე; საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით არის დადებული და ბრალდებული ნებაყოფლობით აღიარებს ბრალს; ბრალდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების, მათ შორის, ნასამართლობის, სამართლებრივ შედეგებს; ბრალდებულს ჰქონდა კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა და სხვა) და მხოლოდ ამის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება.

ოფიციალური სტატისტიკური⁵⁴ მონაცემების მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეთა დიდ ნაწილზე საპროცესო შეთანხმება მტკიცდება. 2020 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოში შესული საქმეების 63% საპროცესო შეთანხმებით დასრულდა, ხოლო 2021 წელს ეს მონაცემი 64%-ს შეადგენდა. შესაბამისად,

⁵² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 209 (1).

⁵³ იქვე, მუხლი 210 (3).

⁵⁴ საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები: <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2021w-statistic-3.pdf>.

ამ ინსტიტუტს საგულისხმო ადგილი უჭირავს ქართულ მართლმსაჯულებაში და მნიშვნელოვანია, რომ ის კანონშესაბამისად იყოს გამოყენებული.

დაკვირვების შედეგები

საია მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დაესწრო 369 სხდომას, რომელზეც 392 პირის მიმართ საპროცესო შეთანხმება გაფორმდა. ის უმეტესად კვლავ პირველი წარდგენის სხდომაზე მტკიცდება.

კერძოდ, 369 საქმიდან 289 (78%) შემთხვევაში საპროცესო შეთანხმება დაიდო პირველი წარდგენის სხდომაზე, 19 (5%) შემთხვევაში - წინასასამართლო, ხოლო 38-ში (10%) - არსებითი განხილვის სხდომებზე. დანარჩენ 23 (6%) შემთხვევაში ის პროცესის სხვა ეტაპებზე გაფორმდა.⁵⁵

დაკვირვებამ აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად საპროცესო შეთანხმება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულსა - 111 (30%) და ნარკოტიკულ დანაშაულზე - 101 (27%) ფორმდება. ასევე, არც ისე იშვიათია არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანა მმართველობის წესისა - 43 (12%) (აქედან, 26 შემთხვევაში დანაშაული 362-ე მუხლს შეეხებოდა) და ჯანმრთელობის წინააღმდეგ - 32 (9%) მიმართულ დანაშაულებზე.

გარდა ამისა, სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 23 (6%) შემთხვევაში (საიდანაც 22 საქმე მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვებას, შენახვას, რეალიზაციას ან გადაზიდვას შეეხებოდა),⁵⁶ ხოლო სატრანსპორტო დანაშაულთან დაკავშირებით - 19 (5%) შემთხვევაში.


სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების ფაქტი ამ საანგარიშო პერიოდში არ გამოვლენილა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ დანაშაულები, რომლებზეც გაფორმდა საპროცესო შეთანხმება (2021 წლის აპრილიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდში).

⁵⁵ იგულისხმება აპელაციის ეტაპი ან/და როდესაც მონიტორისთვის უცნობი დარჩა, სხდომის რა ეტაპი იყო.

⁵⁶ დანაშაული, გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლით.


დიაგრამა №10



დანაშაულის კატეგორიების მიხედვით, სტატისტიკა ასეთია: ყველაზე ხშირად საპროცესო შეთანხმება ნაკლებად მძიმე, ხოლო ყველაზე იშვიათად - განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის საქმეებზე მტკიცდება. კერძოდ, 227 საქმე - ნაკლებად მძიმე, 134 - მძიმე და 8 - განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს შეეხებოდა.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე იხილეთ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების სტატისტიკა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით (2021 წლის აპრილიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით).

დიაგრამა №11



წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, მცირედით (4%) გაზრდილია განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმების დადების ხვედრითი წილი.

მათგან ოთხი ნარკოტიკულ დანაშაულს უკავშირდება, ხოლო 3 საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს - მითვისებასა ან გაფლანგვას (სსკ-ის 182-ე მუხლი).

მხოლოდ ერთი საქმე შეეხებოდა დანაშაულს საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას, როგორცაა ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფი)), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.

მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში სასამართლომ ყველა შემთხვევაში დამტკიცა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების თაობაზე. გამოვლინდა მხოლოდ 1 შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ ეჭვი შეიტანა ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარების ნების ნამდვილობაში და იმ კონკრეტულ სხდომაზე შეთანხმება არ გააფორმა.

იხილეთ საილუსტრაციო მაგალითი:

პირს ბრალი ედებოდა, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენაში, შენახვასა და ტარებაში.⁵⁷ საპროცესო შეთანხმებით, მსჯავრდებულს განესაზღვრებოდა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, აქედან 4 წელი - სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, 5 წელი კი ჩაეთვლებოდა პირობითად - იმავე გამოსაცდელი ვადით.

ბრალდებულმა პროცესზე განაცხადა, რომ ჩაიდინა მხოლოდ იარაღის შენახვის დანაშაული, ხოლო რეალურად მას ედავებოდნენ ტარებასაც. ასევე, ბრალდებული ამბობდა, რომ „ეს დანაშაული არ უნდა იყოს და კაცს უნდა ჰქონდეს იარაღი სახლში“.

მოსამართლე დაეჭვდა, რამდენად აცნობიერებდა ის დანაშაულის ხასიათს. ფაქტობრივად, ბრალდებული თავს უდანაშაულოდ მიიჩნევდა. მოსამართლემ განმარტა, რომ თავის დამნაშავედ ცნობა არის საპროცესო შეთანხმების წინაპირობა. მან მხარეებს მისცა დრო, ადგილზევე ხელახლა გაეკლოთ ეს საკითხი. შესვენების შემდეგ ბრალდებული კვლავ ამბობდა, რომ სურდა საპროცესო შეთანხმების დადება და ეთანხმებოდა სასჯელს, თუმცა მოსა-

⁵⁷ უფრო კონკრეტულად, სისხლის სამართლის კოდექსის 236 (1) და 236 (6-ბ) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა)), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას, ტარებას, დამზადებას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას იმის მიერ, ვინც სასამართლევი ამავე მუხლის მე-3, მე-4 ან მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.

მართლისთვის მისი პოზიცია მაინც გაუგებარი დარჩა. ამიტომ, რადგან იგი დისტანციურად ერთვებოდა, მოსამართლემ ამჯობინა, სხდომის დარბაზში მოეყვანათ, რათა უფრო დეტალურად გაეგო, რეალურად რა სურდა ბრალდებულს. შესაბამისად სხდომა მეორე დღისთვის გადაიდო.

ის გარემოება, რომ ფაქტობრივად ყველა საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობას სასამართლო ამტკიცებს, გარკვეულწილად სასამართლო კონტროლის სისუსტეზე მიუთითებს. პროცესის მხარეთა დამოკიდებულებით ჩანს, რომ სასამართლოს როლი ფორმალურია და მათ წარდგენილი შეთანხმების ავტომატურად დამტკიცების მოლოდინი აქვთ.

იხილეთ ამის საილუსტრაციო მაგალითი:

ერთ-ერთ საქმეში პროცესის დაწყების წინ სასამართლო დარბაზში შემოვიდა ადვოკატი ბრალდებულთან ერთად, გადახდის ქვითრით ხელში და განაცხადა, რომ საპროცესო შეთანხმების ოქმით გათვალისწინებული ჯარიმა უკვე გადაიხადა, ვინაიდან პროკურორმა ასე უთხრა. მოსამართლე ამაზე ძალიან გაბრაზდა და მხარეს მიმართა, რომ საპროცესო შეთანხმება არ იყო დამტკიცებული და, შესაძლოა, არც დამტკიცებულიყო. შესაბამისად, მისთვის გაუგებარი იყო, რა გადაიხადა. ასევე მიუთითა, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების სხდომა არ არის უბრალოდ ფორმალობა და ყოველივე ეს სასამართლოს უპატივცემულობა იყო. შემდგომ მიმართა პროკურორს და ჰკითხა, თუ რატომ უთხრა მსგავსი რამ ადვოკატს. პროკურორმა განაცხადა, რომ მას მსგავსი არაფერი უთქვამს არც ადვოკატის და არც ბრალდებულისთვის. ადვოკატმა თავად დაურეკა მას და საბანკო რეკვიზიტები გამოართვა, თუმცა რა მიზნით - მან არ იცოდა. ადვოკატი, თავის მხრივ, ამბობდა, რომ ეს (პროკურორის მოთხოვნა) მისთვისაც გაუგებარი იყო. ის პროკურორს სდებდა ბრალს და მოსამართლეს ეთანხმებოდა, რომ მსგავსი რამ არ შეიძლებოდა. სასამართლომ საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა.

ამგვარი საგანგაშო შემთხვევა ბოლო წლების განმავლობაში საიას მონიტორინგს აღარ გამოუვლენია. ამ ერთი შემთხვევის იდენტიფიცირებაც აჩენს ეჭვს ძველი უარყოფითი პრაქტიკის კვლავ არსებობის თაობაზე. ეს კი აკნინებს სასამართლოს როლს მისი მხრიდან კონტროლის განხორციელების თაობაზე.

ობიექტურ დამკვირვებელს ზოგჯერ რჩება განცდა, რომ შეთანხმება მიიღწევა ბრალდებულის ინტერესების გაუთვალისწინებლად ადვოკატსა და პროკურორს შორის, ხოლო ბრალდებული სხდომაზე გამოთქვამს პრეტენზიებს სასჯელსა ან ბრალის აღიარებასთან დაკავშირებით. გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ბრალდებულთა მხრიდან დანაშაულის ხასიათის გააზრება ან/და დანაშაულის აღიარება საეჭვო იყო, თუმცა სასამართლომ წარმოდგენილი საპროცესო შეთანხმებები მაინც დაამტკიცა.

საილუსტრაციოდ იხილეთ ქვემოთ მოცემული მაგალითები:

ერთ საქმეში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ბრალდებულს სათანადოდ არ ჰქონდა განმარტებული საპროცესო შეთანხმების არსი და ბუნება. ის მოსამართლეს სთხოვდა განმარტებას თითოეული საკანონმდებლო დანაწესის შესახებ. მან სასამართლოს მიმართა თხოვნით, შეემცირებინა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადა. მოსამართლემ განუმარტა, რომ მსგავსი საკითხები უნდა შეეთანხმებინა პროკურორთან. ამას მოჰყვა ბრალდებულის გაღიზიანება და რეპლიკა, რომ სასამართლო პროკურატურის ჭკუაზე დადიოდა.

ერთ-ერთ საქმეში, ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ბრალდებულმა 2021 წლის 28 ნოემბერს ქ. ბათუმში კონფლიქტის დროს სცემა რ.შ-ს (სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული). საპროცესო შეთანხმებით ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად წარედგინებოდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 100 საათის ვადით.

აღსანიშნავია, რომ ბრალდებულმა დასმულ კითხვაზე - აღიარებდა თუ არა ბრალდებას - ფაქტობრივი გარემოებების მოსმენის შემდგომ უპასუხა, რომ - მეტ-ნაკლებად. ცრემლმორეულმა ბრალდებულმა მოსამართლეს ჰკითხა: „თქვენ რომ დედა შეგაგინონ, რას იზამთ?“ ამგვარი რეაქციის შემდგომ მოსამართლემ განმარტა, რომ, ბრალდებულის პოზიციის გათვალისწინებით, საპროცესო შეთანხმებას ვერ დაამტკიცებდა. მოსამართლემ შესვენება გამოაცხადა, რის შემდეგაც ბრალდებულმა მოსამართლეს უთხრა, რომ იგი ეთანხმებოდა ბრალს და აღიარებდა დანაშაულს.

კიდევ სხვა საქმეში ბრალდებულის თანხმობა საპროცესო შეთანხმების პირობებთან მიმართებით არ იყო ცხადი. სხდომის მსვლელობისას, როდესაც სასამართლომ ბრალდებულს შეახსენა შეთანხმებული სასჯელის სახე და ზომა, ამ უკანასკნელმა იკითხა: „მე რომ სოციალურად დაუცველი ვარ და ჯარიმასაც მინიშნავთ და იმასაც ჩამომართმევთ, მაი რაფერია?“ მოსამართლემ სთხოვა, კითხვა გაემეორებინა, ვინაიდან კარგად ვერ გაიგო. ამის პასუხად, ბრალდებულმა განაცხადა - „კი ბატონი, იყოს!“

ასეთი პოზიციები აჩვენებს, რომ ზოგ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების შესახებ მოლაპარაკება მხარეთა შორის სათანადოდ არ არის წარმართული და ზედაპირული ხასიათისაა. ბრალდებულს არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია და მისი ნების ნამდვილობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ცალსახად იკვეთება ადვოკატის არასაკმარისი კონსულტაცია მისი დაცვის ქვეშ მყოფთანაც.

საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებების განმარტება

ბრალდებულთათვის უფლებების განმარტება არანაკლებ მნიშვნელოვანია საპროცესო შეთანხმების სხდომებზეც, როდესაც სასამართლო იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, გამოიტანოს განაჩენი საქმის არსებითი განხილვის

გარეშე. ასეთ დროს აუცილებელია ბრალდებულის ინფორმირება კანონით გათვალისწინებული ყველა უფლების თაობაზე. მიმდინარე პროცედურები მისთვის უნდა იყოს სრულად გასაგები და ნათელი.

გამოვლენილი შედეგები

დაკვირვებამ აჩვენა, რომ სასამართლოს მხრიდან საპროცესო შეთანხმების სხდომაზე ბრალდებულს უფლებები სრულყოფილად არ განემარტა შემთხვევათა 35%-ში, რაც, წინა პერიოდთან შედარებით, 8 პროცენტული ერთეულით გაუარესებული მაჩვენებელია.

რაც შეეხება უშუალოდ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებსაც სსკ-ის 212-ე მუხლი ითვალისწინებს, მოსამართლეს ბრალდებულისთვის 107 (25%) შემთხვევაში არ უკითხავს, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ხომ არ დაექვემდებარა წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას.

125 (33%) შემთხვევაში მოსამართლეს ბრალდებულისთვის არ განუმარტავს, რომ, თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში ბრალდებულის წინააღმდეგ გამოყენებულ იყოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ის საპროცესო შეთანხმების განხილვისას მიაწვდის სასამართლოს.

ასევე მოსამართლემ 120 (32%) შემთხვევაში ბრალდებულს არ აუხსნა, რომ მის მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლიდა კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.

საპროცესო შეთანხმების სხდომების განხილვის დრო

არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცება ხდება ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით გამართულ ღია და საჯარო სხდომაზე, რომელზეც სასამართლო რევიზიას უტარებს მხარეთა მიერ მიღწეულ შეთანხმებას.

დაკვირვების შედეგები

წლების გამოცდილება აჩვენებს, რომ საპროცესო შეთანხმების სხდომები არც ისე იშვიათად ფორმალურ ხასიათს ატარებს. სასამართლო სულ რამდენიმე წუთში ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას, საქმის ფაქტობრივი გარემოებების განხილვისა და სხვა პროცედურული წესების დაცვის გარეშე.


64 (17%) სხდომაზე ბრალდების მხარემ მხოლოდ შუამდგომლობის სარეზოლუციო ნაწილი წაიკითხა. კერძოდ, მხოლოდ განმარტა, შეთანხმებით, რა სასჯელი იყო განსაზღვრული ბრალდებულისთვის და არ უსაუბრია არც საპროცესო შეთანხმების მიზანშეწონილობაზე, არც საქმის გარემოებებსა და არც სხვა დე-

ტალებზე. საგულისხმოა, რომ ეს შეთანხმებული პრაქტიკაა და ზოგჯერ თავად სასამართლო მოუწოდებს პროკურორს საქმის გარემოებების წარმოდგენისგან თავის შეკავებისკენ - 19 (30%) შემთხვევა.

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ საპროცესო შეთანხმება საქმეების ნახევარზე მეტ შემთხვევაში (51%) 15 წუთამდე დროში განიხილება.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე იხილეთ სხდომებზე საპროცესო შეთანხმების განხილვის დრო (2021 წლის აპრილი - 2022 წლის სექტემბერი).

დიაგრამა №12



გამოვლინდა 3 შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ მხოლოდ 5 წუთი მოანდომა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.

ეს საკითხი პრობლემურია იმ ფონზეც, რომ არაერთ შემთხვევაში ბრალდებულებს გააზრებული არ აქვთ წარდგენილი ბრალდების არსი და ხშირად მხოლოდ სასჯელზე კმაყოფილების გამო თანხმდებიან საპროცესო შეთანხმებით საქმის განხილვის სწრაფად დასრულებას.

ამგვარი შემთხვევებით, როდესაც სასამართლო არ ინტერესდება საქმის ყველა გარემოებით, სიღრმისეულად არ არკვევს საპროცესო შეთანხმების შინაარსს, თავადვე ამცირებს სასამართლო კონტროლის მექანიზმს.

საპროცესო შეთანხმებისას გამოყენებული სასჯელის კანონიერება და სამართლიანობა

სასამართლო სხდომების ანალიზი აჩვენებს, რომ მოსამართლემ მხოლოდ 11 სხდომაზე იმსჯელა საჯაროდ, რამდენად სამართლიანად და კანონიერად მიაჩნდა საპროცესო შეთანხმებით მიღწეული სასჯელი, რაც იმ სხდომების მხო-

ლოდ 3%-ს შეადგენს, რომლებსაც საია სრულად დააკვირდა.⁵⁸

გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ უჭვი შეიტანა სასჯელის სამართლიანობაში და მხარეებს კითხვებიც დაუსვა, თუმცა, საბოლოოდ, საპროცესო შეთანხმება წარდგენილი პირობებით მაინც დაამტკიცა.

იხილეთ საილუსტრაციო მაგალითი

საქმეში ორი ბრალდებული იყო. ერთს ბრალი ედებოდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილ თაღლითობასა⁵⁹ და ასევე ყალბი დოკუმენტის დამზადებაში,⁶⁰ ხოლო მეორეს - მხოლოდ ყალბი დოკუმენტის დამზადებაში.⁶¹

საპროცესო შეთანხმებით პირველ ბრალდებულს უნდა დაჰკისრებოდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც სრულად პირობით მსჯავრში ჩაეთვლებოდა, ხოლო მეორეს - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რაც სრულად პირობით მსჯავრში ჩაეთვლებოდა, ასევე, დამატებით სასჯელად, ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით.

მოსამართლე დაინტერესდა, რით იყო განპირობებული, რომ ბრალდებულს, რომელსაც 2 მძიმე დანაშაულის ჩადენაში ედებოდა ბრალი, პროკურატურამ 3-წლიანი პირობითი მსჯავრი შეურჩია, ხოლო მხოლოდ დოკუმენტების გაყალბებაში ბრალდებულს - 5-წლიანი, დამატებით, ასევე ჯარიმა.

ბრალდების მხარის განმარტებით, განსხვავება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მეორე ბრალდებულმა (რომელსაც მხოლოდ დოკუმენტის გაყალბებას ედავებოდნენ) ახალი ქმედება ჩაიდინა პირობითი მსჯავრის ქვეშ. ამ განმარტების შემდეგ მოსამართლემ პროკურორს მიმართა: „კარგით რა, სასჯელი ცოტა სამართლიანობის განცდას ხომ უნდა ტოვებდეს, რომ არ ჩააყენოთ სასამართლო უხერხულობაში“. მოსამართლემ აზრი ჰკითხა დაცვის მხარესაც. ადვოკატის თქმით, სასჯელი მასაც მკაცრი ეჩვენებოდა, თუმცა ბრალდებულს სურდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცება ამ პირობით, რადგან იმედი არ ჰქონდა, სასამართლოს დაარწმუნებდა, რომ დოკუმენტაციაში არასწორი ინფორმაცია შეცდომით, ბოროტი განზრახვის გარეშე ჩაწერა. ადვოკატის ამ განმარტებას მოჰყვა მოსამართლის რიტორიკული რეპლიკა: „კაი, გეყოფათ ახლა, გინდათ რომ, არ დამტკიცდეს?!“ ამის შემდეგ მან პროცედურები გააგრძელა.

ასეთ დროს, როდესაც არასამართლიანად მიაჩნდა სასჯელი, მოსამართლე უფლებამოსილი იყო, საქმე დაებრუნებინა პროკურორისთვის სასჯელის დაზუსტების მიზნით, თუმცა ასე არ მოიქცა.

⁵⁸ წინა საანგარიშო პერიოდში ეს მონაცემი 11%-ს შეადგენდა.

⁵⁹ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული.

⁶⁰ სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.


⁶¹ იმავე მუხლით - სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

საპროცესო შეთანხმების დროს გამოყენებული სასჯელები

სხდომებზე დაკვირვების შედეგების მიხედვით, საპროცესო შეთანხმების დროს სასამართლომ ყველაზე ხშირად - 108 (29%) შემთხვევაში - სასჯელის სახედ და ზომად გამოიყენა ჯარიმა, 85 (23%) შემთხვევაში კი - პირობით მსჯავრი და ჯარიმა ერთად. ცალკე პირობითი მსჯავრი სასამართლომ შეუფარდა 73 (20%) პირს, რაც, წინა წლის მონაცემთან შედარებით, 5 პროცენტული ერთეულითაა შემცირებული. რაც შეეხება სასჯელის სახეს - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში 36 (10%) ბრალდებულის მიმართ იყო გამოყენებული.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე იხილეთ საპროცესო შეთანხმების დროს გამოყენებული სასჯელები (2021 წლის აპრილი - 2022 წლის სექტემბერი).

დიაგრამა №13



ჯარიმის საშუალო ოდენობა 3451 ლარია, რაც, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით (3121 ლარი), გაზრდილი მაჩვენებელია.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე იხილეთ საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო ოდენობა წლების მიხედვით.


დიაგრამა №14



დაკვირვება აჩვენებს, რომ გაიზარდა ასევე იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც საპროცესო შეთანხმებით ჯარიმა შეეფარდათ. ეს მონაცემი, წინა წელთან შედარებით, 15 პროცენტული ერთეულითაა მომატებული და 60%-ს შეადგენს.

დიაგრამაზე იხილეთ იმ საპროცესო შეთანხმებების ოდენობა, რომლებითაც ბრალდებულებს ჯარიმა შეეფარდათ.


დიაგრამა №15



ფაქტობრივად, უცვლელია იმ საპროცესო შეთანხმებების პროცენტული გამოხატულება, რომლებში მონაწილე ბრალდებულებსაც საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა შეეფარდათ.⁶² ეს მონაცემი, წინა წლის მსგავსად, 16%-ს შეადგენს.

დიაგრამაზე იხილეთ საპროცესო შეთანხმებების რაოდენობა, რომლებში მონაწილე ბრალდებულებსაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეეფარდათ.

დიაგრამა №16



⁶² იგულისხმება შემთხვევები, როდესაც საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა გამოყენებულია როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

არსებითი განხილვა

სხდომების დაგვიანება და გაჭიანურება

სხდომების გადადება და გაჭიანურების პრობლემა ახალი არ არის სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისთვის. საია არაერთ ანგარიშში ამახვილებდა ყურადღებას ამ საკითხზე, თუმცა წლიდან წლამდე მდგომარეობა არ უმჯობესდება.


საია დააკვირდა 851 არსებითი განხილვის სხდომას 1377 ბრალდებულის მიმართ. აქედან, დაგვიანებით დაიწყო 419 (49%) მათგანი.

დაგვიანების მიზეზებს შორის ქარბობს სხვა პროცესის გაგრძელება იმავე სხდომის დარბაზში - 99 (24%), ასევე მოსამართლის - 87 (21%) ან მხარეთა დაგვიანება (11%). ხშირი იყო პენიტენციური სამსახურის დაგვიანების შემთხვევებიც - 42 (10%).

71 (17%) შემთხვევაში უცნობი დარჩა სხდომის დაგვიანებით დაწყების მიზეზი, რაც, სავარაუდოდ, დისტანციური ჩართვების დროს ტექნიკური დეტალების გამართაობას უკავშირდებოდა.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე იხილეთ სხდომათა დაგვიანების მიზეზები (2021 წლის აპრილიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდში).

დიაგრამა №17



47 (11%) სხდომა დაიწყო 1 საათის და მეტი დროის დაგვიანებით. აქედან უმეტესობა - 33 სხდომა - დისტანციური ან ნახევრად დისტანციური ფორმით ჩატარდა.


რაც შეეხება სხდომის გადადებას, ამ საანგარიშო პერიოდში, არსებითი განხილ-

ვის იმ სხდომათაგან, რომლებსაც საია აკვირდებოდა, 333 (39%) მათგანი გადაიღო, რაც, წინა წელთან შედარებით, სამი პროცენტული ერთეულით შემცირებული მონაცემია.

სხდომის გადაღების მიზეზებს შორის კვლავ ლიდერობს საპროცესო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკება - 79 (24%) და პროკურორის მოწმეთა არყოფნა - 71 (21%), ასევე ბრალდებულთა არყოფნა - 73 (22%), რაც, ძირითადად, პენიტენციური სამსახურის მიერ მათ ბადრაგირებას ან დისტანციურად ჩართვის ხარვეზს უკავშირდებოდა.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე იხილეთ სხდომათა გადაღების მიზეზები (2021 წლის აპრილიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდი).

დიაგრამა №18



საყურადღებოა ასევე ექსპერტიზის დასკვნის მოლოდინის გამო სხდომების გადაღების ფაქტები. გამოვლინდა 13 (4%) შემთხვევა, როდესაც სხდომა ამ საფუძვლით გადაიღო. რეალურად, ეს ციფრი უფრო მაღალია, თუმცა ის ვერ ექცევა მონიტორინგის ფარგლებში. ამას განაპირობებს სხდომათა ავტომატური გადაღება, როდესაც საიას მონიტორს არ აქვს შესაძლებლობა, ამის მიზეზები აღრიცხოს.

განაჩენების სტატისტიკა


მოცემულ საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები დაესწრნენ 108 საქმეს (133 პირის მიმართ), რომლებზეც განაჩენი გამოვიდა. აქედან გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 82 (62%) შემთხვევაში, გამამართლებელი - 25 (19%) და ნაწილობრივ გამამართლებელი - 9 (7%) შემთხვევაში.

17 (12%) პირის მიმართ წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა უფრო მსუბუქ მუხლზე.

საყურადღებოა, რომ, წინა წელთან შედარებით, მცირედით გაზრდილია გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი.

დიაგრამაზე იხილეთ გამამართლებელი განაჩენების მაჩვენებელი 2018 წლის მარტიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდში.

დიაგრამა №19




არსებითი განხილვის შედეგად გამოყენებული სასჯელები

108 პირის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენებიდან სასჯელები ამგვარად გადანაწილდა: 62 (57%) პირის მიმართ გამოყენებული იყო თავისუფლების აღკვეთა, ე.წ. „საპატიმრო სასჯელი“, რაც წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილი მონაცემია.⁶³ ჯარიმა შეეფარდა 19 (18%) პირს, ხოლო პირობითი მსჯავრი -18-ს (17%).

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე იხილეთ სასამართლოს მიერ არსებითი განხილვის შედეგად გამოყენებული სასჯელები 2021 წლის აპრილიდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდში.

⁶³ წინა საანგარიშო პერიოდში თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული იყო ბრალდებულთა 25% მიმართ.



ოჯახური დანაშაულები

მიუხედავად იმისა, რომ არაერთი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, გაუმჯობესდა საკანონმდებლო ბერკეტები, ასევე, გარკვეულწილად, წინსვლა შეინიშნება სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებითაც, კვლავ არაერთი მძიმე ფაქტის შემსწრე ხდება საზოგადოება. საგანგაშოა ფემიციდის სტატისტიკაც. წინა წელს საია აკვირდებოდა 7 საქმეს, რომელიც ოჯახში ჩადენილ მკვლელობას ან მკვლელობის მცდელობას უკავშირდებოდა. აქედან 6 შემთხვევაში მსხვერპლი ქალი იყო. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ქალთა მკვლელობის 3 შემთხვევა.

ქალთა მკვლელობის შემთხვევები:

ბრალდებულმა ორსულ მეუღლეს ქ. კ.-ს, მოკვლის განზრახვით, ცივი იარაღით მიაყენა 30-მდე ჭრილობა. შედეგად, სახეზეა წინასწარ შეცნობით ორსული ქალის მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის მე-11¹, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.⁶⁴ ინციდენტის შემდგომ ბრალდებული თავად დაუკავშირდა სამართალდამცავ ორგანოებს და მომხდარის შესახებ აცნობა. პროცესის მიმდინარეობისას, ექსპერტიზის დასკვნის შედეგად, დადგინდა ბრალდებულის შეზღუდული შერაცხადობა.

კიდევ ერთ საქმეზე პირს ბრალი ედებოდა განზრახ მკვლელობაში, რომელიც ჩადენილი იყო გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით, სსკ-ის მე-11¹, 109-ე მუხლის „თ“, „კ“ და „მ“ ქვეპუნქტებით. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ყოფილმა მეუღლემ 36 წლის ქალს სასიკვდილო ჭრილობები დანიტ ყელისა და თავის არეში მიაყენა. პროკურორმა გამოკვეთა გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის მოტივი, კერძოდ - ბრალდებული იყო მამაკაცი, ფიქრობდა, რომ ჰქონდა ქალზე ბატონობის უფლება და დაზარალებულს უკრძალავდა სხვებთან კომუნიკაციას.

38 წლის კაცს ბრალად დაედო ოჯახის წევრის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ განზრახ მკვლელობაში (სისხლის სამართლის კოდექსის მე-11¹, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი⁶⁵). 2022 წლის 21 მაისს, დღის საათებში, 31 წლის ს. კ. ავტობუსით მგზავრობდა მეუღლესთან, 38 წლის რ. მ-სთან და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად, როდესაც ბრალდებულმა ცივი იარაღით ათამდე ჭრილობა მიაყენა ქალს, ძირითადად, ყელის არეში. ქალი ადგილზე გარდაიცვალა. კაცი დანაშაულის ადგილზე დააკავეს.

მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ჩართულმა ნებისმიერმა რგოლმა გადაწყვეტილებების მიღებისას სათანადოდ შეაფასოს რისკები და საფრთხეები. ამასთანავე, მხოლოდ რეპრესიული და დასჯაზე

⁶⁴ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის დროს (02.07.2022) მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის რედაქცია.

⁶⁵ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის დროს (21.05.2022) სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედი რედაქცია.

ორიენტირებული მიდგომა ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს. იმისთვის, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა იყოს ეფექტიანი, საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების გატარება, მათ შორის, უწყებათა მხრიდან აქტიური საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიების ორგანიზება.

წლების გამოცდილება აჩვენებს, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ მოძალადემ, შესაძლოა, კვლავ ჩაიდინოს დანაშაული. ამიტომ სასამართლოები მოწადინებულნი უნდა იყვნენ, გამოიყენონ ძალადობის ქცევის კორექციისკენ მიმართული სანქციები, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლის შესაბამისად, მოძალადეს დააკისრონ ვალდებულება, გაიაროს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სასწავლო კურსი.


მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ქორწინების იძულების ბრალდების 1 საქმე - დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის მე-11¹, 150¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით. ბრალდების მხარე ადეკვატურად უთითებდა გენდერული დისკრიმინაციის მოტივზე. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ბრალდებულს სურდა საკუთარი ქალიშვილის იძულებით გათხოვება. პროკურორის განცხადებით, სახეზე იყო გენდერული დისკრიმინაციის მოტივი - მამა მიიჩნევდა, რომ ქალიშვილს არაფერი შეეძლო და მისი ერთადერთი ფუნქცია გათხოვება იყო.

მაგალითი ნათლად მიუთითებს საზოგადოებაში ჯერ კიდევ მყარად ფესვგადგმულ გენდერულ სტერეოტიპებზე - რომ ქალი მამაკაცის მორჩილი უნდა იყოს და მის ცხოვრებაში გადაწყვეტილების მიმღები სწორედ მამაკაცია.

ოჯახურ დანაშაულებზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები

საია დაესწრო ოჯახურ დანაშაულში ბრალდებული 122 პირის მიმართ მიმდინარე აღკვეთის ღონისძიების შერჩევის სხდომას. აქედან სასამართლომ 56 (46%) ბრალდებულს პატიმრობა, 59-ს (48%) - გირაო, 1-ს (1%) კი - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეუფარდა (ქალი ბრალდებული). 6 (5%) პირი სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე იხილეთ ოჯახში ძალადობისა და ოჯახურ დანაშაულებზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახეები, პროცენტული გამოხატულებით, 2016 წლის აგვისტოდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდში.



აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების შემთხვევები უკავშირდება როგორც ქალ, ასევე კაც ბრალდებულებს.

ერთ შემთხვევაში ოჯახში ძალადობაში ბრალდებული პირი იყო პენსიონერი. ჯანმრთელობის მდგომარეობის მხედველობაში მიღებით, მოსამართლემ მას აღკვეთის არცერთი ღონისძიება არ შეუფარდა. ამ საქმეში პროკურორი 2000 ლარის ოდენობით გირაოს გამოყენებას შუამდგომლობდა.

მეორე შემთხვევაში პირს ბრალად ედებოდა ოჯახის წევრის მიმართ მუქარა (მე-11¹, 151-ე (2) (დ) სამ ეპიზოდად. ბრალდების მხარე ითხოვდა 3000-ლარიანი გირაოს შეფარდებას. ბრალდებულის განმარტებით, იგი ამ თანხის გადახდას ვერ შეძლებდა, ვინაიდან არ იყო დასაქმებული და არ ჰქონდა შემოსავალი.

ოჯახში ძალადობის კიდევ ერთ საქმეზე ბრალდების მხარე პატიმრობის შეფარდებას შუამდგომლობდა და გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზე მიუთითებდა. მოსამართლემ აღკვეთის არცერთი ღონისძიება არ გამოიყენა და განმარტა, რომ ბრალდებული არასდროს ყოფილა შემჩნეული რაიმე კანონსა-წინააღმდეგო ქმედებაში, არასდროს ყოფილა ნასამართლევი და სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებიდან გასული იყო 2 წელი.

ერთ შემთხვევაში სასამართლომ უკანონოდ ცნო დაკავება და, ამ მიზეზით, ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

ერთ შემთხვევაში⁶⁶ ბრალდების მხარემ თავად არ იშუამდგომლა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. მიზეზი არ დაუკონკრეტებია, თუმცა, სავარაუდოდ,

⁶⁶ ბრალდება - სსკ-ის 126¹-ე (1) (ორი ეპიზოდი), მე-11¹, 151-2-დ მუხლები.

მხედველობაში იყო მიღებული ბრალდებულის სქესი (მდედრობითი) და ასაკი (77 წელი).

ოჯახში ძალადობისა და ოჯახურ დანაშაულებზე პროკურატურა, ძირითადად, საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებას შუამდგომლობს, კერძოდ: საქმეთა 88%-ში მოითხოვა პატიმრობის გამოყენება, დანარჩენ შემთხვევებში - გირაო. გამოვლინდა მხოლოდ 2 შემთხვევა, როდესაც პროკურორს არცერთი სახის აღკვეთის ღონისძიება არ მოუთხოვია. აქედან ერთი შემთხვევა სწორედ ზემოხსენებულ საქმეს შეეხებოდა, **სადაც**, სავარაუდოდ, ბრალდებულის სქესი (მდედრობითი) და ასაკი (77 წელი) გახდა განმსაზღვრელი. ხოლო მეორე საქმეში ბრალდებული უკვე იხდიდა სასჯელს სხვა დანაშაულისთვის და ისედაც პატიმრობაში (სასჯელაღსრულების დაწესებულებაში) იმყოფებოდა.

ოჯახურ დანაშაულებზე გამოტანილი განაჩენები

გამამართლებელი განაჩენების უმეტესობა - 23 შემთხვევა (92%) - შეეხებოდა ოჯახურ დანაშაულებს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მიუხედავად საგამოძიებო უწყებების მკაცრი პოლიტიკისა, კვლავ პრობლემად რჩება ოჯახური დანაშაულების გამოძიების ხარისხი. დანაშაულის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხშირია დაზარალებულთა მხრიდან პოზიციის ცვლილება, რის შემდგომაც საქმეთა უმრავლესობაში აღარ რჩება შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით პირის გამტყუნების საფუძველი იქნება.


დაზარალებულთა პოზიციის ცვლილება და მოძალადის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება, როგორც წესი, განპირობებულია შიშით, მოძალადეზე ეკონომიკურად ან სხვაგვარად დამოკიდებულებით, საგამოძიებო ორგანოების მიმართ უნდობლობით ან არასაკმარისი ნდობით. ამიტომ, აუცილებელია სავარაუდო მსხვერპლებთან მეტი მუშაობა, რელევანტური სერვისების შეთავაზება და მათი გაძლიერება. ამ პროცესში მკაფიო როლი უნდა ჰქონდეს, მათ შორის, დაზარალებულისა და მოწმის კოორდინატორსაც.

სასჯელები

მოცემულ საანგარიშო პერიოდში სასამართლო ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სასჯელის სახედ, ძირითადად, თავისუფლების აღკვეთას იყენებდა, რასაც მსჯავრდებულს პირობითად უთვლიდა, კერძოდ, ასეთი 11 (46%) შემთხვევა გამოვლინდა. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 4 პროცენტული ერთეულით გაიზარდა სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი და 29% (7 ფაქტი) შეადგინა. ე.წ. საპატიმრო სასჯელის დანიშვნა დაკავშირებული იყო ისეთ შემთხვევებთან, როდესაც პირი არ აღიარებდა წარდგენილ ბრალდებას ან/და ბრალი ედებოდა დანაშაულის არაერთ ეპიზოდში. რაც შეეხება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, ამ სახის სასჯელი სასამართლომ 6 (25%) შემთხვევაში გამოიყენა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ ოჯახური დანაშაულის საქმეებზე გამოყენებული სასჯელები 2021 წლის აპრილი - 2022 წლის სექტემბრის პერიოდში.

დიაგრამა №22



სასჯელის დანიშვნისას სასამართლო მხედველობაში იღებდა დაზარალებულის პოზიციას. გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დაზარალებულის განცხადება ოჯახში ძალადობაში მსჯავრდებული პირისთვის შედარებით მსუბუქი სასჯელის შეფარდების განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა. მაგალითად, ერთ შემთხვევაში დაზარალებული აღნიშნავდა, რომ ბრალდებულს შეურიგდა და მასთან ცხოვრებას აგრძელებდნენ. კიდევ ერთ შემთხვევაში დაზარალებული აცხადებდა, რომ ბრალდებულთან კონფლიქტი აღარ ჰქონდა და ა.შ.

პირობითი მსჯავრის დროს, როდესაც არსებობს საამისო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია, მსჯავრდებულს დააკისროს განსაზღვრული მოვალეობის შესრულება, მათ შორის, თუ მსჯავრდებული ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირია – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსის გავლა.

გამოვლინდა ორი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ბრალდებულებს, პირობით სასჯელთან ერთად, დამატებითი ვალდებულებაც დააკისრა, კერძოდ, დაავალა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის, ასევე, ალკოჰოლის პრობლემის მოგვარებისა და სიბრაზის მართვისთვის შესაბამისი პროგრამების გავლა, აგრეთვე ფსიქოლოგთან ვიზიტები. გარდა ამისა, აუკრძალა ალკოჰოლის მიღება, რაც შემოწმდებოდა პრობაციის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით.

თუმცა, პრობლემურია ამ დამატებითი მოვალეობის დაკავშირება პირობით მსჯავრთან. საიას მოსაზრებით, უმჯობესია, სასამართლოს შეეძლოს მისი გა-

მოყენება ნებისმიერ სასჯელთან ერთად, რაც მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიება იქნებოდა მსხვერპლთა უსაფრთხოების თვალსაზრისით.

საპროცესო შეთანხმება

როგორც წესი, პროკურატურას მკაცრი პოლიტიკა აქვს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების მიმართ, ამიტომ, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ამ დანაშაულებში ბრალდებული პირების მიმართ საპროცესო შეთანხმება არ ფორმდება. თუმცა, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა სამი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ოჯახში მოძალადესთან საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა.

- ერთ-ერთ საქმეში ნ.ლ-ს ბრალი ედებოდა, სახლში კონფლიქტის გამო, არასრულწლოვანი შვილის მიმართ ძალადობაში. კერძოდ, ქალმა ტელევიზორის დისტანციური გადამრთველი ორჯერ ჩაარტყა შვილს თავის არეში.⁶⁷ მოსამართლის განმარტებით, ბრალდების მხარემ გაითვალისწინა, რომ ბრალდებული იყო ქალი, დედა და ქმედებას ჰქონდა ერთჯერადი ხასიათი, შესაბამისად, მასთან გააფორმა საპროცესო შეთანხმება, თუმცა მის ადგილას მამაკაცი დაკავებული იქნებოდა. მისივე თქმით, ამ განმარტების მიზანი იყო, ბრალდებულს გაცნობიერებინა საკუთარი ქმედების მნიშვნელობა.
- მეორე შემთხვევაში ბრალდებული იყო მამრობითი სქესის წარმომადგენელი. მას ბრალი ოჯახის წევრის მიმართ იძულებასა და მუქარაში ედებოდა.⁶⁸ სხდომაზე საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე საუბარი არ ყოფილა, ვინაიდან ბრალდების მხარემ მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი წაიკითხა. საპროცესო შეთანხმებით, ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც ჩაეთვალია პირობით მსჯავრში, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.
- პირს ბრალი წარდგენილი ჰქონდა ოჯახში ძალადობის ორ ეპიზოდში (126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). საპროცესო შეთანხმებით, მას სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც ჩაეთვალია პირობით მსჯავრში, იმავე გამოსაცდელი ვადით. ბრალდებული მამაკაცი იყო. საქმის დეტალებზე საუბარი არ ყოფილა.

საყურადღებოა ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების და, ზოგადად, საშეღავათო პირობების გამოყენება. მხოლოდ რისკების აღკვეთის მიზნით შეფასების შემდეგ უნდა მიიღოს პროკურატურამ ამგვარი გადაწყვეტილება და ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლის მიმართ საფრთხეები სრულად განეიტრალებულია.

⁶⁷ ბრალდება წარდგენილი ჰქონდა სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

⁶⁸ დანაშაულები, გათვალისწინებული სსკ-ის მე-11¹, 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მე-11¹, 151 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

თარჯიმნის კვალიფიკაცია

სამართალწარმოება საქართველოში მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე, თუმცა პირს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, ენიშნება თარჯიმანი. ეს კონსტიტუციური დანაწესია⁶⁹ და მას იმეორებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც,⁷⁰ რომლის მიხედვითაც, პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, ამ კოდექსით დადგენილი წესით, დაენიშნება თარჯიმანი. ბრალდებულის უფლებას, ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში განიხილავს.⁷¹

დაკვირვების შედეგები

საია დაესწრო 222 ბრალდებულის⁷² სხდომას, სადაც მათ არ იცოდნენ სისხლის სამართლის პროცესის ენა - ქართული - და საჭიროებდნენ თარჯიმნის დახმარებას. კერძოდ, იმ საქმეების 8%-ში, რომლებსაც საია საანგარიშო პერიოდში აკვირდებოდა, ბრალდებულს თარჯიმნის მომსახურება დასჭირდა.

გამოვლინდა ორი შემთხვევა, როდესაც პროცესი ზედიზედ ორჯერ იმ მიზეზით გადაიდო, რომ ვერ მოიძიეს კონკრეტული ენის თარჯიმანი. ერთ შემთხვევაში საქმე ეხებოდა თურქმენულ, მეორეში კი - ბოშურ ენებს. ბრალდებულები სხვა არცერთ ენას არ ფლობდნენ.

გამოვლინდა თარჯიმნის არაკვალიფიციურობის არაერთი შემთხვევა. საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითები:

ბრალდებულმა პროცესზე განაცხადა, რომ არ ესმოდა, თარჯიმანი რას უთარგმნიდა. მისი თქმით, ამ ადამიანმა არ იცოდა არაბული ენა და თარჯიმნად საუდის არაბეთის მოქალაქე მოითხოვა. პროკურორმა განაცხადა, რომ ბრალდებულს ამით პროცესის გაჭიანურება სურდა, ვინაიდან წინა დღითაც იგივე თარჯიმანი იყო, თუმცა მას პრეტენზია არ გამოუთქვამს. დარეკეს ბიუროში, მაგრამ თარჯიმანი ვერ მოძებნეს, შესაბამისად, იმავე თარჯიმანმა გააგრძელა თარგმანი, თუმცა, ამჯერად, ინგლისურ ენაზე.

ერთ-ერთ საქმეზე თავდაპირველად დანიშნული იყო თურქული ენის თარჯიმანი, რომელიც საერთოდ არ ფლობდა იურიდიულ ტერმინოლოგიას და არ ესმოდა მოსამართლის მიერ ნათქვამი სიტყვები. ის ბრალდებულს ხელების დახმარებით ესაუბრებოდა და სიტყვასიტყვით არ უთარგმნიდა. ეს შეამჩნია მოსამართლემ, ფაქტი თარჯიმანმაც დაადასტურა და, მოსამართლის ინიცი-

⁶⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 62 (4).

⁷⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 11.

⁷¹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6.

⁷² აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე 73 პირი საჭიროებდა თარჯიმნის მომსახურებას, წინასასამართლო სხდომაზე - 75 პირი, საპროცესო შეთანხმების სხდომაზე - 48 და არსებითი განხილვის სხდომაზე - 26 პირი.

ატივით, თარჯიმანი შეიცვალა. გამოცხადდა 20-წუთიანი შესვენება, ხოლო შემდგომ სხვა თარჯიმანი ჩართეს დისტანციურად.

კიდევ ერთ საქმეზე, სადაც თარჯიმანს არ გააჩნდა შესაბამისი ცოდნა და უჭირდა თარგმნა, ადვოკატმა სხდომის განმავლობაში რამდენჯერმე შეითავსა თარჯიმნის ფუნქცია და უთარგმნა ბრალდებულს სასამართლოზე გამოთქმული პოზიციები. მოსამართლემ გარკვეული დროის შემდეგ მას შენიშვნა მისცა, რომ თარჯიმნისთვის საკუთარი ფუნქციის შესრულების საშუალება მიეცა.

თარჯიმანს კი მიუთითა, სრულყოფილად ეთარგმნა, ასევე გააფრთხილა მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ. ყველაფრის მიუხედავად, მოსამართლეს იგი სხვა თარჯიმნით არ შეუცვლია.

ადვოკატის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში

ბრალდებულისა და ადვოკატის სათანადო კომუნიკაცია პროცესის ეტაპების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

ძირითად შემთხვევაში არსებითი განხილვის სხდომებზე ბრალდებულები წარმოდგენილნი იყვნენ ადვოკატებთან ერთად - 92% შემთხვევაში. ამ ეტაპზე სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული ადვოკატი ემსახურებოდა ბრალდებულთა 18%-ს. საიას დაკვირვებით, 9% შემთხვევაში ადვოკატი ბრალდებულთან ეფექტიან კომუნიკაციას არ ამყარებდა, რაც უმეტესად გამოიხატებოდა იმაში, რომ ბრალდებულის და ადვოკატის პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვეოდა, ასევე ხშირად ბრალდებული ინფორმირებული არ იყო ზოგიერთ სამართლებრივ საკითხზე.

ადვოკატის ღონისძიების სხდომაზე ადვოკატი სხდომას ესწრებოდა 63% შემთხვევაში, აქედან სახელმწიფოს ხარჯზე - 19%-ში. ადვოკატსა და ბრალდებულს შორის ცალსახად არაეფექტიანი კომუნიკაცია გამოვლინდა - საქმეების 9%-ში.

რაც შეეხება წინასასამართლო სხდომას, ამ ეტაპზე ბრალდებულები ადვოკატით წარმოდგენილნი იყვნენ 77% შემთხვევაში. სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული ადვოკატი იცავდა მათ ინტერესებს საქმეების 25%-ში. ბრალდებულსა და ადვოკატს შორის არაჯეროვანი კომუნიკაცია გამოვლინდა 8%-ში.

საპროცესო შეთანხმების ყველა სხდომაზე ბრალდებულს ჰყავდა ადვოკატი, შესაბამისად, დაცული იყო კანონის მოთხოვნა. ადვოკატების 42% იყო სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული. არაჯეროვანი კომუნიკაცია გამოვლინდა 3%-ის შემთხვევაში.

ბრალდებულისა და ადვოკატის კონფიდენციალური ურთიერთობის პრობლემა უმეტესად დისტანციურად მიმდინარე სხდომებზე შეინიშნებოდა. ბოლო პერიოდში, როდესაც სხდომების უმრავლესობა კვლავ დარბაზში ტარდებოდა, ეს საკითხი მწვავე პრობლემა აღარ იყო.

ადვოკატთა ეთიკური ქცევა

მნიშვნელოვანია ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.⁷³ საადვოკატო საქმიანობის პრინციპია ადვოკატის კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა.⁷⁴ ადვოკატის მიერ ხსენებული პრინციპების დარღვევა ჩრდილს აყენებს მთლიანად ადვოკატთა კორპუსს.

ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი ფუნქციები, დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები და ისე წარმოადგინოს თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესები, რომ არ შელახოს სასამართლოს უფლებები, ასევე არ შეურაცხყოს პროცესის სხვა მონაწილეები, იქნებიან ესენი დაზარალებული პირები, მოწმეები თუ სხვა.

⁷³ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3 (ღ).

⁷⁴ იქვე, მუხლი 3 (ღ).

იხილეთ ამის საწინააღმდეგო მაგალითი:

ერთ-ერთ წინასასამართლო სხდომაზე, რომელიც შეეხებოდა ქურდობის ბრალდებას და დაზარალებული იყო უცხო ქვეყნის - მოქალაქე, ადვოკატმა დაზარალებული მოიხსენია ტერმინით „ვიღაც ბომჟი“.

ადვოკატების ქცევა 5-6 ივლისის საქმეებზე მიმდინარე სასამართლო სხდომების ერთ-ერთი საყურადღებო მახასიათებელი იყო. სხდომათა მიმდინარეობისას ბრალდებულებისა და მათი ადვოკატების ნაწილის მიერ სასამართლო სხდომის დარბაზში ჟღერდებოდა არაეთიკური, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის, სექსისტურ და მუქარის შემცველ განცხადებები.

არსებითი განხილვის სხდომებზე დაზარალებულთა დაკითხვის დროს ადვოკატები დაზარალებულ პირებს ხშირად უსვამდნენ ძალადობის პროვოცირებასთან დაკავშირებულ კითხვებს. ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ აღანაშაულებდნენ დაზარალებულს ძალადობის პროვოცირებაში.

ერთ-ერთ სხდომაზე ადვოკატმა დაზარალებულს ჰკითხა - ხომ არ იყო ძალადობა პროვოცირებული მისი მხრიდან, ასევე, ამავე კონტექსტში - ატარებდა თუ არა LGBTQ+ სიმბოლიკას, რაზეც დაზარალებულმა უარყოფითი პასუხი გასცა. შემდეგ იმავე დაზარალებულს სხვა ადვოკატმა ჰკითხა, მაშინაც [5-6 ივლისის მოვლენების დროს] თუ ეკეთა საყურე (მოწმეს სხდომაზეც ეკეთა საყურე), რაც მან დაადასტურა. ამას მოჰყვა სიცილი და გაურკვეველი შინაარსის შედახილები ბრალდებულთა მხრიდან.

სასამართლოს მიერ ადვოკატის ღონისძიების სახით პატიმრობის გადასინჯვის დროს ადვოკატმა განაცხადა, რომ პროკურატურის მითითება ახალი დანაშაულის ჩადენასა და მოწმეთა ზემოქმედების საფრთხესთან დაკავშირებით რეალობას იყო მოკლებული, თან დაამატა - „რა ახალი დანაშაულის ჩადენა, ისევ აპირებენ ეგენი გამოსვლას თუ რა?“ მოცემულ ფრაზას რეპლიკით უპასუხა პროკურორმა და აღნიშნა, რომ პროფესიით იურისტ ადვოკატს არ უნდა სჭირდებოდეს ახსნა, რას ნიშნავს ადამიანების თანასწორობა და გამოხატვის თავისუფლება. ამან გამოიწვია ადვოკატის გაღიზიანება. მან აღნიშნა, რომ პროკურორმა თავისი რეპლიკით შეურაცხყოფა მიაყენა ადვოკატის პროფესიას, საფრთხე შეუქმნა ადვოკატსა და კლიენტს შორის ნდობის პრინციპს. ამის შემდგომ მან, იმ საფუძვლით, თითქოს პროკურორი იყო სუბიექტური და ზედმეტად მიკერძოებული, მისი აცხადების შუამდგომლობა დააყენა, რაც არ დაკმაყოფილდა.

საიას აზრით, მოცემულ შემთხვევაში ადამიანის უფლებების, თანასწორობისა და გამოხატვის თავისუფლებისადმი მსგავსი დამოკიდებულებით არა პროკურორმა, არამედ თავად ადვოკატმა მიაყენა შეურაცხყოფა ადვოკატის პროფესიას.

ადვოკატმა მოწმეს (დაზარალებულს) ჰკითხა, რამდენი ხანი იყო, რაც LGBTQ+ თემს წარმოადგენდა. პროკურორმა დააყენა დისკრიმინაციული საფუძვლით კითხვის განრიდების შუამდგომლობა. მოსამართლემ კითხვა განარიდა და მხარეს მოუწოდა, დისკრიმინაციული გამონათქვამებისა და კითხვებისგან თავი შეეკავებინა.

სხვა სხდომებზეც დაცვის მხარის წარმომადგენელთა მისამართით ამგვარი მოწოდება ხშირად უხდებოდა სასამართლოს.

გამომძიებლის (ქალი) დაკითხვის დროს ბრალდებულებმა დაიწყეს სექსუალური ნიშნით მოწმის შევიწროება. კერძოდ, სასამართლო დარბაზში შემოსვლისთანავე დაიწყეს სიცილი და მოწმის მისამართით სხვადასხვა შინაარსის ფრაზების წამოძახება, მაგალითად: „რა ძალიან კარგი გოგოა გამომძიებელი“, „ეს თუ დამიჭერს, კარგი იქნება“ და ა.შ. ასევე, უხამსი ქესტიკულაციით მიუთითებდნენ მოწმეზე. ამის გამო, მოსამართლემ ერთი ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გააძევა.

ერთ-ერთმა ადვოკატმა, დაზარალებულის დაკითხვის დროს გააკეთა შემდეგი კომენტარი - „ამას სცემა ახლა 200-მა კაცმა? რა უტყობა 200 კაცის ნაცემის?“

ერთ-ერთმა ადვოკატმა განაცხადა, რომ თავადაც ესწრებოდა აქციას და მომხდარი შეაფასა ქართველი ბიჭების მიერ ქვეყნის ტრადიციის და ღირსების დაცვად.

გარდა ამისა, ბრალდებულები სხდომის დარბაზშიც ემუქრებოდნენ დაზარალებულებს.

ერთ-ერთ სხდომაზე ბრალდებულმა დაზარალებულ ჟურნალისტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და მოსამართლეს მიმართა - „გამოუშვით ერთი წუთით და დამიმატეთ მერე 6 წელი კიდე, მიმიშვით ამ არაკაცთან“.

ბრალდებულთა დიდი ნაწილი გამოირჩეოდა განსაკუთრებული აგრესიით. გამოკითხვის დროს ერთ-ერთი ბრალდებულის დაინტერესდა დაზარალებულის საცხოვრებელი ადგილით. ეს ინტერესი აღიქმებოდა, როგორც დაზარალებულის მიმართ შეფარული მუქარა.

ერთ-ერთი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გადასინჯვის დროს ადვოკატმა განაცხადა, რომ „ბრალდებულის სკამზე მსხდომი ბიჭები წარმოადგენდნენ საქართველოს მოსახლეობის 80%-ის ხმას და მოსაზრებას. ხოლო, როდესაც ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე საუბრობს პროკურორი, უნდა

გაითვალისწინოს, რომ ეს ადამიანები უმრავლესობაში იმყოფებიან და, თუ დანაშაულის ისევ ჩადენა უნდა ვინმეს, ამას მათი გარეთ მყოფი თანამოაზრეებიც გააკეთებენ. ასევე, პროკურორს დაუსვა შემდეგი შინაარსის კითხვა - „რა, ჟურნალისტები LGBTQ+ თემის წარმომადგენლები არიან?“ ამავე დროს აღნიშნა, რომ იმ დღეს ეს ბიჭები ასრულებდნენ საქართველოს მთავრობის მითითებას და ნებას, რაც სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ადვოკატის თქმით, მომხდარის დღეს პრემიერ-მინისტრმა⁷⁵ პირდაპირ განაცხადა, რომ მხოლოდ ლომების პრაიდი იცოდა და ამ შეკრებას მიზანშეუწონლად მიიჩნევდა.

ერთ-ერთმა მოწმემ აღნიშნა, რომ 5-6 ივლისის ძალადობრივ მოვლენებამდე არასდროს ეშინოდა თავისი იდენტობის დაფიქსირების და ორიენტაციის გამოხატვის, თუმცა ახლა უკვე ესმის იმ მეგობრების, რომლებიც ამას ასაიდუმლოებენ და ცდილობენ, „ზედმეტად არავის მოხვდნენ თვალში“.

საიას აზრით, ადვოკატების მიერ ზემოხსენებული ფორმით დასმული კითხვები და შეფასებები, სცდებოდა ბრალდებულთა დაცვის ინტერესებს, ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პრინციპებს და მიზნად ისახავდა დაზარალებულ პირთა ღირსების შელახვას. ფორმულირებების არაეთიკური და დისკრიმინაციული შინაარსი ბადებდა კითხვებს ადვოკატთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. შინაარსისა და ქცევის არაეთიკურობა კი აკნინებდა ადვოკატის პატივსაცემ პროფესიას.

⁷⁵ საიას ანგარიში „5-6 ივლისის მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება“, გვ. 20, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Nn8rmg>, განახლებულია: 01.11.2022.

სასამართლო კონტროლის მნიშვნელობა

ბრალდებულს პატიმრობაში ყოფნისას უფლება აქვს, პენიტენციური დაწესებულების კონტროლით, საკუთარი ხარჯით აწარმოოს მიმოწერა და 1 თვის განმავლობაში სამჯერ ჰქონდეს სატელეფონო საუბარი.⁷⁶ აგრეთვე, ბრალდებული სარგებლობს 1 თვის განმავლობაში არა უმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით.⁷⁷ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ბრალდებულს გამომძიებლის/პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით, შესაძლოა, შეუზღუდოს გარე სამყაროსთან კონტაქტი. 2021 წლის 1-ლი იანვრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, პროკურორის დადგენილებით, 222 ბრალდებულს შეუზღუდა გარე სამყაროსთან კონტაქტი.⁷⁸ სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა ვრცელდება აგრეთვე ბრალდებულის მიერ ადვოკატთან დაკავშირებაზეც.⁷⁹ საყურადღებოა, რომ სატელეფონო საუბრების უფლების შეზღუდვისგან განსხვავებით, გამომძიებელს/პროკურორს პაემნით სარგებლობის უფლების შეზღუდვა შეუძლია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. კონსტიტუციასთან ამ წესის შეუსაბამობის თაობაზე 2021 წელს სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელიც წარადგინა.⁸⁰ ამასთანავე, როგორც წესი, სატელეფონო საუბარი და ხანმოკლე პაემანი ერთდროულად იზღუდება. ის ფაქტი, რომ არ არის განსაზღვრული ბრალდებულის გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის ვადა, გამომძიებელს/პროკურორს აძლევს შესაძლებლობას, ის გამოიყენოს პატიმრობის (9 თვე) ვადით. განსაკუთრებით საყურადღებოა ბრალდებულისა და ადვოკატის კომუნიკაციის შეზღუდვა, რაც სახალხო დამცველის მიერ ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევად შეფასდა.⁸¹

ყოველგვარი კონტროლის გარეშე გამომძიებლის/პროკურორის მიერ ბრალდებულის უფლებების შეზღუდვის ასეთი უფლებამოსილება ზრდის მათი მხრიდან აღნიშნულის დაუსაბუთებლად გამოყენების რისკს.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები ესწრებოდნენ საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ბრალდების საქმის სასამართლო განხილვებს. სხდომაზე ადვოკატებმა განაცხადეს, რომ ბრალდებულს/მსჯავრებულს დადგენილებით შეზღუდული ჰქონდა გარე სამყაროსთან კონტაქტი. დაცვის მხარემ რამდენიმე სხდომაზე დააყენა ამ დადგენილების გაუქმების შუამდგომლობა, თუმცა - უშედეგოდ. სასამართლომ განმარტა, რომ ეს საკითხი არ არის მოწესრიგებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

⁷⁶ საქართველოს კანონი - პატიმრობის კოდექსი, მუხლი 79. 1 გ.

⁷⁷ იქვე. მუხლი 77 (1).

⁷⁸ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში, გვ. 89, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022050612391096568.pdf> [განახლებულია: 03.11.2022].

⁷⁹ საქართველოს კანონი - პატიმრობის კოდექსი, მუხლი 79 (2¹).

⁸⁰ კონსტიტუციური სარჩელი №1632 - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3zGrm5Q> [განახლებულია: 03.11.2022].

⁸¹ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში, გვ. 90, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022050612391096568.pdf> [განახლებულია: 03.11.2022].

იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებულ საქმეზე დაბალი იყო უშუალოდ ბრალდებულის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედებისა და ამ გზით მტკიცებულებების განადგურების რისკი, საიას აზრით, გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა არ იყო დაკავშირებული გამოძიებისთვის ხელის შეშლასთან. ობიექტური დამკვირვებლის ხედვით, ჩნდებოდა ეჭვი, რომ ბრალდებულს გარე სამყაროსთან კონტაქტი შეეზღუდა მისი, როგორც პოლიტიკოსის, განეიტრალების მიზნით.

საიას მოსაზრებით, ამ ნორმების ბრალდებულის უფლებებზე გავლენიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ასეთი შეზღუდვისას სასამართლო კონტროლის მექანიზმის არსებობა, ხოლო აღვოკატთან ამგვარი კომუნიკაციის შეზღუდვა დაუშვებელია.

მოსამართლის მიუკერძოებლობა

მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ობიექტურ დამკვირვებელს არ რჩებოდეს სასამართლოს მიუკერძოებლობის, არასათანადო გავლენის ან/და თვითნებობის განცდა, რამაც, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობაზე.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საია აკვირდებოდა ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიას და ზურაბ იაშვილის⁸² მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე, სადაც გაჩნდა ეჭვები მოსამართლის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობასთან დაკავშირებით. კერძოდ, დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე, რაც უკავშირდებოდა საქმის განმხილველი მოსამართლის ახლო მეგობრობას ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ მფლობელი ჰოლდინგის დირექტორთან და, ამ მიზეზით, საქმის შედეგით სავარაუდო დაინტერესებას. პროცესზე წარმოდგენილი იყო მოსამართლისა და ზ. გ-ს ახლო მეგობრობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც მოსამართლემ არ უარყო. მათ შორის, მტკიცებულებებიდან ირკვეოდა, რომ მათ მჭიდრო კომუნიკაცია ჰქონდათ საქმის მიმდინარეობის პერიოდშიც. ლოგიკურია, რომ ზ.გ-ს, როგორც ჰოლდინგის დირექტორს გააჩნდა პირდაპირი ფინანსური ინტერესი საქმის შედეგის მიმართ. ამის მიუხედავად, მოსამართლემ თავი არ აიცილა.

მართალია, ამგვარი შემთხვევების დროს კანონი პირდაპირ არ უთითებს სავალდებულო აცილების გარემოებებზე, მაგრამ განსაზღვრავს, რომ მოსამართლე

⁸² ნიკა გვარამიას ბრალი ედებოდა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, ასევე წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით მართლწომიერ გამგებლობაში არსებული ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვის, კომერციული მოსყიდვისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ასევე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება; კახაბერ დამენიას - წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით მართლწომიერ გამგებლობაში არსებული ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვაში; ზურაბ იაშვილს - კომერციული მოსყიდვისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ არსებობს გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.⁸³ გარდა ამისა, საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მიხედვით, მოსამართლე უნდა შთააგონებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი. ამასთანავე, მოსამართლეს ეკრძალება პროცესის მხარეებსა ან საქმით დაინტერესებულ პირებთან ცალ-ცალკე (ex parte) შეხვედრა ან ნებისმიერი სხვა ფორმით კომუნიკაცია სასამართლოში ან მის გარეთ, საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან მასზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.⁸⁴ ზემოხსენებული გარემოებები კი აჩენდა ეჭვს მოსამართლის ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის თაობაზე.

⁸³ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 59 (1-ა).

⁸⁴ საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, მუხლი 7 (1), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3E6GVqp>.

დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნა

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი ტენდენციები ნათლად მიუთითებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში არსებულ არაერთ გამოწვევაზე. აღკვეთის ღონისძიების სახეების სიმცირე კვლავ ქმნის მოცემულობას, როდესაც სასამართლო უალტერნატივოდ იყენებს გირაოსა და პატიმრობას, ხოლო საჯარო სხდომაზე მათ დასაბუთებას არც ისე დიდ დროსა და ყურადღებას უთმობს. სხდომებზე ბრალდების მხარისა და სასამართლოს მიერ გამოხატული პოზიციები ზოგჯერ ტოვებს განცდას, რომ მიმდინარე პროცესი მათთვის მხოლოდ რუტინული საქმიანობის ნაწილია და არა - რეალური ინტერესის სფერო. ამას, გარკვეულწილად, დატვირთული სამუშაო განრიგი და საქმეთა სიმრავლეც განაპირობებს.

ამასთანავე, სხდომების მონიტორინგისას ვხვდებით მათალი კვალიფიკაციის პროკურორებსა და ადვოკატებს, რომელთა შუამდგომლობები იმსახურებს მათალ შეფასებას, აგრეთვე მოსამართლეთა ნაწილს, რომლებიც ირჩევენ უფლებების მინიმალურად შეზღუდავ, რესოციალიზაციაზე ორიენტირებულ სისხლის სამართლის პოლიტიკას.

ანგარიშში განხილული ფემიციდის შემთხვევები გვაფიქრებინებს, რომ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა იმ დანაშაულთა კატეგორიაა, რომლებზეც, სასამართლოს მხრიდან სათანადო ნაბიჯების გადადგმის გარეშე, მხოლოდ ბრალდების მხარის ძალისხმევით, ხელშესახები შედეგები ვერ მიიღწევა. მნიშვნელოვანია, ნაკლებად მზღუდავი აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან ერთად, რისკების გათვალისწინებით, მეტად მოხდეს დამატებითი ვალდებულების სახით ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენება, რაც ამ დანაშაულების პრევენციის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ბრალდების მხარე პატიმრობაში მყოფ პირებს უზღუდავდა სატელეფონო საუბრის უფლებას. მნიშვნელოვანია, სასამართლო კონტროლის გზით, გამოირკვეს, ხომ არ ხდება ამ უფლებამოსილების დაუსაბუთებლად გამოყენება.

სასამართლოში დაკავებულის სტატუსით წარდგენილ პირთა მზარდი მაჩვენებელი კიდევ უფრო აქტუალურს ხდის დაკავების კანონიერებაზე სასამართლოს სათანადო კონტროლის საჭიროებას. წლებია, საია საუბრობს დაკავების კანონიერების საჯარო სხდომაზე განხილვის აუცილებლობაზე, თუმცა სასამართლოს მხრიდან ამ საკითხს კვლავ არ ეთმობა სათანადო ყურადღება.

სამწუხაროდ, გამოიკვეთა ფაქტები, როდესაც ბრალდებული საუბრობდა მის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე, თუმცა სასამართლო ამ საკითხზე ნაკლებ მგრძობელობას ავლენდა. მეტიც, რამდენიმე შემთხვევაში მოსამართლეს ბრალდებულისთვის არც კი უთქვამს, რომ ამის შესახებ ინფორმაციას შესაბამის ორგანოს მიაწოდებდა.

დადებით შეფასებას იმსახურებს დაცვის მხარის მიერ ალტერნატიული მტკიცებულებების მოპოვების მაჩვენებლის ზრდა და ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლობის შესახებ წარდგენილი შუამდგომლობები.

საია იმედოვნებს, რომ შესაბამისი უწყებები შეაფასებენ ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების მნიშვნელობას და მათი გაზიარებით ეცდებიან, გააუმჯობესონ მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხი.

რეკომენდაციები

საერთო სასამართლოებს

- მოსამართლეებმა მეტი ყურადღება დაუთმონ საჯარო სხდომაზე შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებას.
- მოსამართლემ ბრალდებულს სრულყოფილად და ნათლად განუმარტოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ადვოკატის გარეშეა წარმოდგენილი.
- საჯარო სხდომაზე დაცვის მხარის ინიციატივის გარეშე განიხილოს დაკავების კანონიერების საკითხი და შეეცადოს, ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვის პრევენციის კუთხით დაამკვიდროს მაღალი სტანდარტი.
- შეფარდებული პატიმრობის გადასინჯვისას მოსამართლეებმა საფუძვლიანად იმსჯელონ პატიმრობის უცვლელად დატოვების მიზანშეწონილობაზე.
- მოსამართლეებმა განახორციელონ სასამართლო კონტროლი, არ დაამტკიცონ საპროცესო შეთანხმება, თუკი ეჭვი ეპარებათ ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარებასა ან/და საპროცესო შეთანხმებით განსაზღვრული სასჯელის კანონიერებაში.
- საპროცესო შეთანხმების სხდომები მიმდინარეობდეს პროცედურული წესების სრული დაცვით და არ ჰქონდეს მათ ფორმალური ხასიათი.
- ოჯახში ძალადობის საქმეთა განხილვისას მოსამართლეებმა იმოქმედონ სავარაუდო მსხვერპლის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და ამის გათვალისწინებით მიიღონ გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების სახისა თუ კონკრეტული სასჯელის გამოყენების შესახებ.
- მოსამართლეები შეეცადონ, შემცირდეს სხდომათა დაგვიანებით დაწყების შემთხვევები, მეტად ორგანიზებულად წარმართონ დროის მენეჯმენტი და მხარეთა დაგვიანების შემთხვევაში მიმართონ შესაბამის ბერკეტებს.
- სასამართლომ დაიცვას საქმეთა განხილვის კანონით გათვალისწინებული ვადები და მიიღოს შესაბამისი ზომები მათი გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს პარლამენტს

- განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით და გაიზარდოს აღკვეთის ღონისძიებების ძირითადი სახეები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილებები და აღკვეთის ღონისძიების - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ - გამოყენება შესაძლებელი გახდეს ყველა ტიპის დანაშაულზე, მისი კატეგორიისა თუ გათვალისწინებული სასჯელის მიუხედავად.
- კანონმდებლობით მოწესრიგდეს დაკავების კანონიერების განხილვის მექანიზმები და პროცედურები. განისაზღვროს მოსამართლის ვალდებულება, პირველი წარდგენის სხდომაზე ყოველთვის შეამოწმოს დაკავების კანონიერება როგორც წინასწარი ნებართვის არსებობის შემთხვევაში, ისე გადაუდებელი აუცილებლობის დროს.
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილება, რომელიც მოაწესრიგებს გამომძიებლის/პროკურორის მიერ ბრალდებული/მსჯავრდებული პირისთვის სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა. მათ შორის სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა არ გავრცელდეს ბრალდებულის მიერ ადვოკატთან დასაკავშირებლად განსაზღვრულ ნომერზე, აგრეთვე გაიწეროს გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის გასაჩივრების მექანიზმები.
- შევიდეს ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და დადგინდეს დისტანციური სამართალწარმოებისთვის საბაზისო რეგულაციები, მათ შორის, ამ ტიპის სხდომებზე საჯაროობის უზრუნველყოფისა და დამსწრე პირთა ქცევის მინიმალური სტანდარტები.
- განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება და ოჯახში მოძალადეების მიმართ, სასჯელთან ერთად, ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის დაკისრება ადარ იყოს დაკავშირებული მხოლოდ პირობით მსჯავრთან, არამედ ნებისმიერ სასჯელთან ერთად შეეძლოს სასამართლოს მისი გამოყენება.

საქართველოს პროკურატურას

- ბრალდების მხარემ მეტი ყურადღება დაუთმოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლოში წარმოდგენილი შუამდგომლობების დასაბუთებას.
- ბრალდებულის მხრიდან მომდინარე საფრთხეების უკეთ განსაზღვრის მიზნით შეისწავლოს მისი პიროვნული მახასიათებლები.
- მეტი ყურადღება დაუთმოს აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილი გირაოს ოდენობის დასაბუთებას. ამ მიზნით შეისწავლოს ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა.

- ბრალდების მხარემ, პირველი წარდგენის სხდომაზე შეფარდებული პატიმრობის საფუძვლების განეიტრალების შემთხვევაში, იშუამდგომლოს ალკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის შეცვლა.
- გადახდისუუნარო ბრალდებულთა მიმართ სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, პროკურორებმა მიმართონ სასამართლოს გირაოს თანხის ოდენობის შემცირების შუამდგომლობით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს

- გაიწეროს სახელმძღვანელო პრინციპები ალკვეთის ღონისძიების შესახებ, რომლითაც სასამართლო განხილვები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარიმართება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სახელმძღვანელო მითითებები უნდა იყოს მკაფიო და დეტალური, რათა გარანტირებული იყოს ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების ერთგვაროვანი გამოყენება მთელ ქვეყანაში.
- დისტანციურ სხდომაზე საჯაროობის უზრუნველყოფის, დაინტერესებულ პირთა მონაწილეობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის მიზნით, გამოიყოს რეკომენდაციები, რომელთა მეშვეობითაც მოხერხდება სხდომის მიმდინარეობის ხელშეშლის თავიდან აცილება და, იმავედროულად, დაცული იქნება პროცესის მონაწილეთა ინტერესები.

პენიტენციურ დეპარტამენტს

- პენიტენციურმა დაწესებულებებმა უზრუნველყონ სასამართლო სხდომებზე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დროული წარდგენა და დისტანციური ჩართვა.
- დაწესებულებები აღიჭურვოს საჭირო რაოდენობის ტექნიკური საშუალებებით. ასევე, დაემატოს და გადამზადდეს პერსონალი პროცესზე ბრალდებულთა შეუფერხებლად ჩართვის უზრუნველსაყოფად.
- პენიტენციურმა დაწესებულებამ სასამართლოში დისტანციურად ჩართვის დროს უზრუნველყოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაცვა უარყოფითი ზეგავლენისგან ნების თავისუფლად გამოვლენაზე, ასევე, მათ მიერ პროცესზე გამჟღავნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას

- ადვოკატებს მოუწოდოს, ბრალდებულთა ინტერესების სასიკეთოდ, მაქსიმალურად ხშირად მოითხოვონ გირაოსა და პატიმრობის ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებები.
- ადვოკატებმა იმოქმედონ ეთიკის კოდექსის შესაბამისად, პატივისცემით მოექცნენ პროცესის სხვა მონაწილეებს და დაცვის უფლების განხორციელებისას მათი ქცევა არ იყოს მიმართული დაზარალებულ პირთა მეორეული ვიქტიმიზაციისკენ.